ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ!

# საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდის სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№74 (1584)

23–25 ივლისი, 1997 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## „მეხუთე დასის" ზეიმსა ზედა

ლევან სანიკიძე

7

## აფხაზეთიდან დევნილი ყველა ძალოვანი სტრუქტურა 31 ივლისისთვის ზუგდიდში იქნება დისლოცირებული



აფხაზეთიდან დევნილი უზენაესი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების თანახმად აფხაზეთის შსს-მ დაიწყო ნაწილების გადაყვანა ზუგდიდში.

„31 ივლისისათვის, როცა იწურება რუსეთის სამშვიდობო ძალების ყოფნის ვადა აფხაზეთში, ზუგდიდშივე მოხდება ავტონომიის სხვა ძალოვანი სტრუქტურების ბაზირება", – უთხრა პრაიმ-ნიუსს აფხაზეთიდან დევნილი უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ, თამაზ ნადარეიშვილმა.

მისი თქმით, „რუსეთის სამშვიდობო ძალების ადგილი უნდა დაიკავონ აფხაზეთის ძალოვანმა სტრუქტურებმა და ჩვენ მზად ვართ მოცემული ამოცანის შესასრულებლად, თუკი საქართველოს მთავრობა მიიღებს შესაბამის პოლიტიკურ გადაწყვეტილებას".

„აფხაზური მხარე ამაგრებს თავის პოზიციებს გალის რაიონში, სადაც გადაჰყავთ ძალები სოხუმიდან და გუდაუთიდან", – აღნიშნა ნადარეიშვილმა.

ნადარეიშვილი პესიმისტურად უყურებს რუსეთის სამშვიდობო ძალების შეცვლის პერსპექტივას გაეროს სამშვიდობო კონტინგენტით. „ამას ძალზედ დიდი დრო დასჭირდება – ჯერ გაეროს უშიშროების საბჭომ უნდა განიხილოს და მიიღოს ეს წინადადება, შემდეგ გამონახოს დაფინანსების წყარო, შეარჩიოს კონტინგენტი – ჩვენ კი უახლოეს მომავალში უნდა ვიყოთ აფხაზეთში". – განაცხადა მან. (პრაიმ-ნიუსი)

## ეროვნული კრება? დიახ!

ამ რამდენიმე დღის წინ გაზ. „მსგეფსმა" და რამდენიმე სხვამ სათაურით „მიმართვა თანამემამულეებს" გამოაქვეყნა მოქალაქეთა ერთი ჯგუფის (მათ შორის – აკადემიკოს ვბოჭორიშვილის, მფრინავ ზ.ბელიას და რამდენიმე ცნობილი პროფესორის) წერილი, რომელშიც, სხვათა შორის, ნათქვამია: „მოგიწოდებთ ყველას, ჭეშმარიტ მამულიშვილებს, მობრძანდეთ ქართველი ერის შეკრებაზე, რომელიც მოიწვევს ერის ყრილობას, რათა ყველა კუთხიდან, სოფლიდან, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან მოვიდნენ რჩეული მამულიშვილნი და უფრო მეტი სამართლებრივი ძალა ჰქონდეს ჩვენს ძალისხმევას".

ამგვარად, ავტორები მოგვიწოდებენ ქართველთა ეროვნული ყრილობის (მე მგონი, უკეთესი იქნება გამოთქმა „ეროვნული კრების") მოწვევისაკენ.

ასეთი წინადადებისათვის საქართველოში საფუძველი საკმარისზე მეტია. სახელდობრ, ქვეყანა არის ***ჩიხში***, რომლიდანაც გამოსავალი არსებული კურსის ფარგლებში და არსებული ხელისუფლების ხელში არ ჩანს. ასეთ პირობებში მიზანშეწონილია ერის მიერ თავისი მდომარეობისა და პერსპექტივების გაცნობიერება ***ღია ფორუმზე*** და ხსნის ურთიერთვარიანტულ გზათა დასახვა ***აზრთა თავისუფალი გაცვლის*** შედეგად. რა თქმა უნდა, დღევანდელი შემსუბუქებული ცენზურული პირობების შესაბამისად, ასეთი ფორუმი (კრება) ფართოდ გაშუქდება ინფორმაციის საშუალებებში და, ამდენად, აზრთა ზემოხსენებული ჭიდილის არაპირდაპირი მონაწილე იქნება მოსახლეობის ფართო მასა.

***რატომ*** არის ჩიხში, ამას ვიტყვი, და შემდეგ მოგახსენებთ ჩემს აზრს კრების იურიდიულ და ტექნიკურ მხარეზე.

1. ჯერ ერთი, საქართველოს დღესდღეობით ძირითად მოწინააღმდეგესთან – რუსეთთან – მიმართებაში დღევანდელი ხელისუფლება შევარდნაძის მეთაურობით ***სანდო არ არის***. მიუხედავად ცალკეული „თამამი" ნაბიჯებისა ქართულ-რუსულ ურთიერთობათა სფეროში, როგორიცაა, მაგალითად, ნავთობსადენისთვის მარშრუტის შეთავაზება საქართველოზე, სხვა ქვეყნებისათვის იარაღის თხოვნა და ზოგი სხვა (რაც თვით გლობალური აუცილებლობებით უფროა ნაკარნახევი, ვიდრე საქართველოს მესვეურთა კეთილი ნებით), საქართველოს ხელისუფლების პოზიცია რუსეთის მიმართ მაინც ***მორჩილებისა და რუსეთის ფარვატერში*** დგომის პოზიციად რჩება, რასაც სიმბოლურის გარდა (როგორიცაა ეროვნული თავმოყვარეობის შელახვა), საქართველოსთვის ფაქტობრივი ზიანიც მოაქვს. მაგალითად, იმის ოფიციალურად დაუფიქსირებლობით, რომ აფხაზეთის ომი იყო რუსეთის გამოუცხადებელი ომი საქართველოს წინააღმდეგ, იქმნება ყალბი სურათი, თითქოს

2

## განათლების კანონის ერთი საკვალალო მუხლის შესახებ

*რედაქციისაგან: მივმართავთ ყველას, ვისთვისაც ჩვენი ქვეყნის მომავლის ბედი სულერთი არ არის. ახლახან გამოქვეყნებული განათლების კანონით კანონიერად იქნება გაძევებული ქართული ენა საქართველოს სასწავლებლებიდან. კანონში დაშვებული უხეში შეცდომა, რაზედაც ლაპარაკია პროფ.გიორგი გოგოლაშვილის ქვემოთწარმოდგენილ წერილში, უნდა გასწორდეს. საზოგადოებამ ზემოქმედება უნდა იქონიოს პარლამენტზე. პრობლემა თუ დღესვე ფარზე არ აიზიდა, ხვალ გვიან იქნება...*

განათლების კანონის პროექტის იმ მუხლში, რომელიც სწავლების ენას შეეხებოდა, ასეთი წინადადება იყო: „სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლების ენა არის ქართული". თბილისის ივ.ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში საგანგებო განხილვა მოხდა ამ პროექტისა (განხილვას ხელმძღვანელობდა უნივერსიტეტის პრორექტორი, პროფ. რ.გორდეზიანი) და ერთხმად აღინიშნა, რომ ქართული უნდა იყოს სწავლების ენა არა მხოლოდ სახელმწიფო, არამედ არასახელმწიფო სასწავლებლებშიც (გარდა იმ შემთხვევისა, რომელთა შესახებაც საუბარია კანონის მე–4 მუხლის მე–2 პუნქტში). ამ თვალსაზრისს, რა თქმა უნდა, შესაბამისი მეცნიერული დასაბუთებაც ახლდა...

ვიფიქრე, უნივერსიტეტის აზრს ანგარიში გაეწეოდა, ანდა მსჯელობის საგნად იქცეოდა...

ახლახან გამოქვეყნდა „საქართველოს კანონი განათლების შესახებ" („საქართველოს რესპუბლიკა", 17 ივლისი, 1997), სადაც ვკითხულობთ: „სახელმწიფო საგან-

2

## ბარამიძის სურვილია

საქართველოს პარლამენტის კორუფციასთან ბრძოლის დროებითი საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარემ, გიორგი ბარამიძემ თხოვნით მიმართა გენერალურ პროკურორს, შინაგან საქმეთა მინისტრს და საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარეს – „შეისწავლონ მოქალაქე შალვა რჩეულიშვილის ცილისმწამებლური განცხადება, რომელიც დაიბეჭდა „დილის გაზეთში" 17 ივლისის ნომერში და სხვა განცხადებები, სადაც ეს უკანასკნელი ბრალს სდებს ბარამიძეს საეჭვო საფინანსო და ეკონომიკურ ოპერაციებში.

ბარამიძეს სურს, რომ გამოძიება მალე დასრულდეს და მისი შედეგების შესახებ დაუყოვნებლივ ეცნობოს ფართო საზოგადოებრიობას მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით.

სიგარეტის ბიზნესით დაკავებული ფირმა „ომეგას" ადვოკატი შალვა რჩეულიშვილი ბრალს სდებს საქართველოს მოქალაქეთა კავშირს და მისი საპარლამენტო ფრაქციის თავმჯდომარეს, გიორგი ბარამიძეს კრიმინალურ კავშირებში და ფირმა „ელიზის" მფარველობაში, რომელიც, აგრეთვე, სიგარეტის ბიზნესით არის დაკავებული.

რჩეულიშვილს მიაჩნია, რომ ფირმა „ომეგა"-ს კუთვნილი დიდი ოდენობით თანხის გატაცება (დაახლოებით 1 მილიონი ლარი) ორგანიზებული იყო პირადად ფირმა „ელიზის" პრეზიდენტის, თამაზ ელიზბარაშვილის მიერ, რომელიც რამდენიმე თვეში გაანთავისუფლეს. (პრაიმ-ნიუსი)

## აღარ გამოვეხმაურებით...

დიდი მადლობა გვინდა გადავუხადოთ ჩვენს უფროს კოლეგებს, საზოგადოებისათვის საპატივცემულო პიროვნებებს, რომელთაც გასულ კვირას საინფორმაციო საშუალებებით მიმართეს ჩვენს წინააღმდეგ გამართული ცილისმწამებლური კამპანიის ავტორებს, რითაც გამოხატეს ჩვენთვის ესოდენ მნიშვნელოვანი მხარდაჭერა. აქვე მადლობას მოვახსენებთ პრესასა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებს აღნიშნული მიმართვის გამოქვეყნებისათვის.

მამა–შვილი რჩეულიშვილებისაგან განსხვავებით, რომელთაც არ ენანებათ არც დრო და არც ენერგია წერონ ჩვენს წინააღმდეგ მიმართული პასკვილები, მიგვაჩნია, რომ საზოგადოება ზედმეტად გადავღალეთ აბსურდულ ბრალდებებზე ჩვენი პასუხებით. სწორედ ამიტომ ვაცხადებთ, რომ დღეიდან სასამართლო პროცესის დამთავრებამდე, არც ერთ ეგრეთ წოდებულ ბრალდებას აღარ გამოვეხმაურებით. ამასვე გვირჩევენ ზემოხსენებული მიმართვის ავტორები, რომლებიც ყოველთვის წარმოადგენდნენ ჩვენთვის საამაყო და მისაბაძ ადამიანებს.

პატივისცემით
მიხეილ მაჭავარიანი
გიორგი ბარამიძე

## თბილისში დევნილთა ყრილობა ჩატარდება



25-26 ივლისს თბილისში ჩატარდება აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან დევნილთა ყრილობა. ყრილობის ერთ-ერთი ინიციატორის, საპარლამენტო ფრაქცია „აფხაზეთის" წევრის, ბორის კაკუბავას ცნობით, ყრილობაზე, დაახლოებით, 3000 დელეგატი იქნება წარმოდგენილი.

„ჩვენი ერთადერთი მოთხოვნა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან, ხოლო შემდეგ მთლიანად საქართველოდან რუსეთის ჯარების გაყვანა იქნება", – განაცხადა პრაიმ-ნიუსთან საუბარში ბორის კაკუბავამ.

კაკუბავას განცხადებით, „აფხაზეთიდან რუსეთის სამშვიდობო ძალების გაყვანის შემთხვევაში, მათ არძინბას ხროვაც უკან მიყვება".

„მე პესიმისტურად ვუყურებ საქართველოს პრეზიდენტის ყოველგვარ მცდელობას, მოაგვაროს კონფლიქტი აფხაზეთში. ვერც მისი ვიზიტი აშშ-ში ვერავითარ შედეგს ვერ გამოიღებს. თავისი ქმედებებით შევარდნაძემ მხოლოდ ზიანი მოუტანა საქართველოს", – აღნიშნა კაკუბავამ.

დევნილთა ყრილობის ინიციატორები – აფხაზეთისა და სამაჩაბლოს პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საკოორდინაციო საბჭო, საპარლამენტო ფრაქცია „აფხაზეთი", აფხაზეთიდან დევნილი უზენაესი საბჭო – თვლიან, რომ ყრილობა საბოლოოდ გააერთიანებს აფხაზეთის მოსახლეობას და დღეს ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან 31 ივლისიდან უნდა დაიწყოს აფხაზეთიდან რუსეთის სამშვიდობო ძალების გაყვანა. (პრაიმ-ნიუსი)

## გალში აფხაზებმა დამატებითი ძალები შეიყვანეს

„იფრინდა"-ს კორესპონდენტისათვის ინფორმირებული წყაროდან ცნობილი გახდა, რომ აფხაზთა მხარემ, ქართველ პარტიზანთა ლიკვიდაციის მიზნით, გალის რაიონის დაბალ ზონაში დამატებითი ძალები შეიყვანა.

აღნიშნულთან დაკავშირებით, „იფრინდა"-ს კორესპონდენტთან საუბარში პრეზიდენტის რწმუნებულმა სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში ბონდო ჯიქიამ განაცხადა, რომ აფხაზთა მხარემ საპასპორტო სამსახურში გაწვევის მიზნით, გალის რაიონში დამატებით 72 მილიციელი შეიყვანა. (იფრინდა)

## აფხაზეთში რუსული სკოლები იხურება

17 ივლისს, ოჩამჩირეში გამართულ მიტინგზე, რომელიც საზღვაო ბაზის და გემთმშენებელი ქარხნის დემონტაჟისა და მისი რუსეთში გადატანას მიეძღვნა, ერთ-ერთმა გამომსვლელმა რუსული სკოლის დირექტორმა განაცხადა, რომ მაშინ, როდესაც თურქები აფხაზეთის ბევრ ქალაქში სკოლებს და კოლეჯებს ხსნიან, იხურება რუსული სკოლები. მისივე თქმით, მიმდინარეობს აფხაზეთის გათურქების პროცესი. გამომსვლელმა მიტინგზევე იკითხა „სად იყურება და რატომ უშვებს მსგავს პრეცენდენტს რუსეთი?". (მოამბე-ექსპრესი)

# ეროვნული კრება? დიახ!

პირველი გვერდიდან

საქართველო ქართულ-აფხაზურ ომში დამარცხდა, და, შესაბამისად, იქმნება ყალბი, მაგრამ ქმედითი წანამძღვარი აფხაზეთის სტატუსის რადიკალური გადასინჯვისთვის. ანალოგიური შედეგები მოსდევს რუსეთის გამოუცხადებელი ომის ოფიციალურ დაუფიქსირებლობას ცხინვალის რეგიონის შემთხვევაშიც გამოუსწორებელი ზიანი მოგვიტანა ხელისუფლების პრორუსულმა პოზიციამ რუსულ-ჩეჩნური ომის დროს და მრავალმა სხვამ.

2. მეორეც, არსებული ხელისუფლება მოკლებულია იმის უნარსაც და სურვილსაც, რომ საქართველო დაიცვას სხვა, არარუსული ფუნდამენტური ხიფათებისაგან, რომლებიც მას თანამედროვე მსოფლიოში ელის. საქართველოს მთელი აღუდგენელი ეროვნული სიმდიდრის ნაუცბათევი და გაუთვლელი გადაგდებით ღია ბაზარზე – რაც არანაირად არ ეთანადება სახელმწიფოს და მოქალაქეების ინტერესებზე ზრუნვის თანამედროვე ცივილიზებულ მსოფლიოში აღიარებულსა და დამკვიდრებულ ნორმებს – საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება ამ სიმდიდრის დასაკარგად წირავს ქართველ ერს, რომელსაც დღეს ამ ბაზარზე არც ერთ პოტენციურ მეტოქესთან წინააღმდეგობის ეკონომიკური ძალა არ შესწევს. ამით იგი ფუნდამენტურად წირავს ქვეყანას იმისათვის, რომ მომავალი ისტორიული პროცესების განმსაზღვრელ გადაწყვეტილებათათვის იგი მხოლოდ ობიექტი იყოს და არა სუბიექტი – რომ საქართველომ დაკარგოს დასავლეთის არა მხოლოდ საყრდენი ტერიტორიის, არამედ სტრატეგიული პარტნიორის (მაშასადამე – ძლიერი და კეთილდღეიანი სახელმწიფოს) როლი, რომელიც მას ელის, თუ თავის პოლიტიკას ქვეყნის ინტერესებში წარმართავს.

3. მესამეც, საქართველოს დღევანდელი მმართველი გუნდი, რომელიც (კონსტიტუციის შესაბამისად) მთლიანად დაკომპლექტებულია შევარდნაძის მიერ, *გამოუსწორებლად კორუმპირებული* ჯგუფია, რომლის ხელშიც საქართველოს აუცილებელი სახელმწიფო ხარჯებისათვის საჭირო სახსრების თავმოყრის არანაირი პერსპექტივა არა აქვს, ისევე როგორც არა აქვს საგარეო ვალის კატასტროფული ზრდის შეჩერებისა და კატასტროფული სიღატაკიდან მოსახლეობის გამოყვანის პერსპექტივა.

4. მეოთხეც, რაც მიჩქმალულია, მაგრამ სინამდვილეში ზემოდასახელებულ სამზე არანაკლები მნიშვნელობის ფაქტორია – ერს არა აქვს უფლება ეროვნული დამოუკიდებლობის პირობებში ჰყავდეს დანაშაულებრივი ხელისუფლება, რომელმაც საგამომძიებლო პრაქტიკაში წამება სისტემად აქცია, მას შემდეგ, რაც რამდენიმე წლის მანძილზე დიქტატურა კრიმინალურ ორგანიზაციაზე დაყრდნობით მოიპოვა და სახელმწიფოში ეკონომიკური, სტრატეგიული და მორალური ნგრევის ცნობიერი პოლიტიკა ატარა. მაგრამ ერი ურიგდება ადამიანის უფლებათა ამ აბუჩად აგდებას, რადგან ეშინია ახალი ქაოსისა, რომლის შექმნის გასაღები კვლავ რუსული სპეცსამახურების აგენტურით გაჟღენთილი ხელისუფლებისა და ამ აგენტურის საქართველოში განლაგებული ცენტრების (რეზიდენტურების) ხელშია.

ამ პირობებში ქართველი ერისთვის მოქმედებისა და უმოქმედობის რამდენიმე შესაძლო ვარიანტი არსებობს და მათ შორის არჩევანის მწვავე საკითხი დგას.

ერთი ვარიანტია უმოქმედობა, როგორიც დღეს არის, და მორჩილად შერიგება ნელ სიკვდილთან შიმშილით, მასობრივ საექსპორტო პროსტიტუციასთან, ახალგაზრდობის მასობრივ ემიგრაციასთან, შობადობის რეაჯერ შემცირებასთან, საქართველოში უცხო ელემენტის საშეილიშვილოდ გაბატონებასთან და პერსპექტივაში – ტერიტორიების დაკარგვასთან, რასაც არსებული კურსის გაგრძელება გვიქადის.

მეორეა მოვლენათა ის განვითარება, რომელსაც განზოგადებულ სახელად – „სოციალური აფეთქება" ჰქვია. მას უსათუოდ გადაჰყვება უძლურ დიქტატორთა მთელი გროვა და მას, შესაძლოა, შეუწყობენ კიდეც ხელს უცხო სპეცსამსახურები, თუკი ჩათვლიან, რომ უკვე დრო მოვიდა საქართველოში მოქმედი თავის „მომხრეთა" ერთი რაზმი მეორით – ჯერ სახელგაუტეხლითა და დასვენებულით – შეცვალონ. ასეთი ვარიანტი სასიკვდილოა, რადგან ქართველი ერის ინტერესია დღეს სახელმწიფოებრიობის *შენება*, მისი ცალკეული ელემენტების სახით მაინც, და არა ნგრევა, ხოლო მტრის მცდელობა, პირიქით, ჩვენი ამ სახელმწიფოებრიობის ან თუნდაც მისი ცალკეული ელემენტების ნგრევისკენაა მიმართული.

მესამე – და ყველაზე ძნელი ვარიანტია მტკიცე, მაგრამ გააზრებული შებრძოლება იმ სასაცილოდ დრომოჭმულ, მაგრამ ჩვენი უძლურებით ძლიერ რეჟიმთან, რომელიც მსოფლიოში დღეს ძლივსღა ფართხალებს, მაგრამ საქართველოში ჯერ კიდევ მოქმედებს და ჩვენი სახელმწიფოებრიობის ფესვებს ხრავს. გადამწყვეტი და, ამასთანავე, ყველაზე სწორი გზაა მტრის დამარცხება არჩევნების გზით, ეროვნულ ძალთა ერთიანი ძალისხმევის შედეგად. მაგრამ ეს როდი ნიშნავს ეროვნულ ძალთა მოქმედების შეზღუდვას მხოლოდ ამ ერთი ფორმით. ბრძოლა შეგვიძლია და საქართველოს ინტერესების დაცვაც შეგვიძლია როგორც საგარეო, ისე საშინაო ასპარეზზე, – მაშინაც კი, როცა ჩვენი ქვეყნის ხელისუფლება მოწინააღმდეგის ინტერესებს იცავს. ბრძოლა ძალიან მძიმე იქნება, მაგრამ [illegible] ეროვნული ყრილობა (კრება) ამ ბრძოლაში [illegible]მივი და ქმედითი იარაღი იქნება, რადგან ეროვნულ ძალებს თავისი საკუთარი გზა აქვთ საერთაშორისო ორგანიზაციებთან მისასვლელად, რომლებიც ჩვენი ქვეყნის ბედის გადაწყვეტაში მონაწილეობენ, საკუთარი მეთოდიკა აქვს საქართველოდან ოკუპანტების დროულად გაყვანისათვის თავის ბრძოლისა და საკუთარი საშუალებები აქვს საზოგადოებრივი აზრისა და მოქმედების მობილიზაციისა ჩვენი ქვეყნის მწვავე საკითხთა გადასაჭრელად. დღევანდელი აპათია, საშინელი მორალური ტრავმითაც და საშინელი ეკონომიკური გაჭირვებით გამოწვეული, დაიძლევა. და მაშინ ეროვნულმა ძალებმა თავისი ერთობლივი და გადამწყვეტი სიტყვა უნდა თქვან.

სწორედ აქ გახლავთ ეროვნული კრების ფუნქცია და ამოცანა. ცხადია, იგი ვერ იქნება (და არ უნდა იყოს) ხელისუფლების პარალელური ორგანო, მაგრამ იგი იქნება ერისთვის სანდო ადამიანთა კრებული, რომელიც არგუმენტირებული მსჯელობის შედეგად განსაზღვრავს, რა ჯობია ერისთვის და როგორ უნდა იმოქმედოს მან იმ ურთულეს მდგომარეობაში, რომელიც ჩვენ დღეს გვაქვს. ცხადია, ამ ძალიან ღია ფორუმზე მოწინააღმდეგე დიდი რაოდენობით შემოაპარებს თავის აგენტებს, იქადაგებს. არსებული ხელისუფლების სანდოობას ერთის მხრივ და „დამნაშავე ხელისუფლების მიერ დანიშნული" საპარლამენტო თუ სხვა არჩევნების ბოიკოტს მეორეს მხრივ. მაგრამ ეს არაა სახიფათო, რადგან ეროვნული ძალების გონებრივი და მორალური პოტენციალი უფრო მაღალია, ვიდრე მოწინააღმდეგის, და ისინი ვალდებულნი არიან ღია კამათში გაიმარჯვონ.

დღეს საქართველოს 30-50 ათასი ზნეობრივად და გონებრივად გამართული კაცი და ქალი სჭირდება, რათა თავი გადაირჩინოს (და კიდევ ერთი ამდენი – საარჩევნო კომპანიების დროს). ეროვნული ყრილობა (კრება) ქმედითი იარაღია ქართველი ერის ამ პოტენციალის მობილიზაციისათვის.

მისი მომხრე ვარ.

**ნოდარ ნათაძე**

# განათლების კანონის ერთი საკვალალო მუხლის შესახებ

პირველი გვერდიდან

მანათლებლო დაწესებულებებში სწავლების ენა არის ქართული, აფხაზეთში – აგრეთვე აფხაზური" (მუხლი მე-4, პუნქტი 1).

რას ნიშნავს ეს? – არასახელმწიფო საგანმანათლებლო სასწავლებლებში სწავლების ენა შეიძლება იყოს არაქართული; ე.ი. სახელმწიფოენის პარალელურად განათლების სისტემაში ამით ვაკანონებთ არაქართულ ენას (არა აქვს მნიშვნელობა იმას, ინგლისური იქნება ეს, რუსული თუ თურქული...). გავითვალისწინოთ ისიც, რომ რაოდენობრივად ამჟამადაც (და მით უმეტეს, მომავალში) არასახელმწიფო სასწავლებელთა რიცხვი გაცილებით მეტია...

გავიხსენოთ: როცა თბილისის უნივერსიტეტი გაიხსნა, საგანგებოდ აღინიშნა, რომ ეს იყო ახალი ეტაპის დასაწყისი სალიტერატურო ენის განვითარებაში: ქართული ენა იქცა განათლების და მეცნიერების ენად. დღეს? დღეს ამ დიდ მონაპოვარს კანონის ძალით ვკარგავთ!

თურქული უნივერსიტეტის გახსნით გამოწვეული აჟიოტაჟი ჯერ არ ჩამქრალა (პრობლემა ისევ დგას!) და ქუთაისში დაიწყო ზრუნვა ახალი საერთაშორისო ინგლისურენოვანი უნივერსიტეტის გასახსნელად (იხ. გაზეთი „ბურჯი ეროვნებისა", №10, 1996 წ.)... ცხადია, ინგლისურენოვანი უნივერსიტეტების სტუდენტები გახდებიან ისინი, ვინც საამისო ინგლისური იცის... და შეიქმნება (უკვე შეიქმნა კიდეც) ინგლისურენოვანი საბავშვო ბაღები, სკოლები, კოლეჯები, რომ ჯიდრი მოუმზადონ საერთაშორისო უნივერსიტეტს... დამერწმუნებით, საერთაშორისო (არაქართულენოვან) უნივერსიტეტებზე ორიენტირებულთა რიცხვი რომ უფრო მეტი იქნება, ვიდრე ქართულ უმაღლეს სასწავლებლებში განათლების მიღების მსურველთა!

ლოგიკური შედეგი პროცესისა ის იქნება, რომ საქართველოს განათლების სისტემაში ქართულ ენაზეც იქნება სწავლება... დიახ, ამას გვიქადის ახალი კანონი. ეს დააკანონა ახალმა კანონმა!

ვერაფერი დამამშვიდებელი ფაქტია ის, რომ „სავალდებულოა ქართული ენის სწავლება სახელმწიფო აკრედიტაციის მქონე ყველა საფეხურის საგანმანათლებლო დაწესებულებაში" (მუხლი მე-4, პუნქტი მე-3).

საინტერესოა, როგორია აზრი ქართული ენის სახელმწიფო კომისიისა (თავმჯდომარე ბ-ნი ე.შევარდნაძე), საქართველოს ენის სახელმწიფო პალატისა (თავმჯდომარე ბ-ნი ლ.ღვინჯილია), საქართველოს პარლამენტის ქართული ენის ქვეკომიტეტისა (თავმჯდომარე ქ-ნი მ.გიგინეიშვილი)...

ვფიქრობთ, სასწრაფოდ და აუცილებლად უნდა შეიცვალოს მე-4 მუხლის I პუნქტი ამგვარად: „სახელმწიფო და სახელმწიფო აკრედიტაციის მქონე საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლების ენა არის ქართული, აფხაზეთში – აგრეთვე აფხაზური". თუ გვსურს, რომ XXI საუკუნის საქართველომ არ შეგვაჩვენოს!

**გიორგი გოგოლაშვილი**

## ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების არჩევნების მისაღწევად ოთხი პარტია გაერთიანდა

საქართველოს ტრადიციონალისტთა კავშირმა, ილია ჭავჭავაძის საზოგადოებამ, „ქარტია-91"-მა და საქართველოს კონსერვატიულმა პარტიამ გადაწყვიტა განცხადებით მიმართოს საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, რათა რეგისტრაციაში გაატაროს საინიციატივო ჯგუფის მიერ შემოთავაზებული სარეფერენდუმო საკითხი – „თანახმა ხართ თუ არა, რომ ადგილობრივი ხელისუფლების ყველა დონის აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელი არჩევითი იყოს".

კანონპროექტი „თვითმმართველობის შესახებ", რომლის მიხედვით ადგილობრივი ხელისუფლების აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელი ინიშნება – ამომრჩევლისათვის თვალში ნაცრის შეყრას ნიშნავს – თქვა დღევანდელ პრესკონფერენციაზე ტრადიციონალისტთა კავშირის თავმჯდომარემ აკაკი ასათიანმა.

მისივე თქმით, ადგილობრივი ხელისუფლება უნდა იყოს არჩევითი და არა დანიშნული. „დღევანდელი ხელისუფლება ნაბიჯ-ნაბიჯ, ეტაპობრივად უნდა შეიცვალოს. ეს ხელისუფლება ან აშკარა კატასტროფამდე, ან ნელ სიკვდილამდე მიგვიყვანს".

„სარეგისტრაციო ბარათის მიღების შემდეგ სამი თვის განმავლობაში ოთხმა პოლიტიკურმა ორგანიზაციამ 200 ათასი ხელმოწერა უნდა შევაგროვოთ" – თქვა კონსერვატიული პარტიის თავმჯდომარემ გოჩა ჯოჯუამ.

„რეფერენდუმისათვის ჩვენ 200 ათას ხელმოწერას შევაგროვებთ, მაგრამ თუ ქვეყნის პრეზიდენტი ვეტოს დაადებს, მაშინ საკონსტიტუციო სასამართლოში შევიტანთ სარჩელს" – თქვა აკაკი ასათიანი. (პრაიმ-ნიუსი)

## გრძელდება ინგუშეთში დაკარგული ქართველების ძებნა

როგორც „იფრინდა"-ს კორესპონდენტთან საუბარში ჩეჩნეთის რესპუბლიკა – იჩქერიის გენერალურმა წარმომადგენელმა საქართველოში ხიზირ ალდამოვმა განაცხადა, ინგუშეთის ტერიტორიაზე მოტაცებული საქართველოს ორი მოქალაქის შოთა ოდიშელიძის და ტრისტან ქავთარაძის ძებნა გრძელდება. ამასთან დაკავშირებით, საქართველოში მუშაობს სპეციალური კომისია, რომლის შემადგენლობაში საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს წევრებიც შევიდნენ.

უახლოეს დღეებში დაგეგმილია აღნიშნული კომისიის წევრების ინგუშეთში გამგზავრება. დელეგაციის წევრები შეხვდებიან ინგუშეთის პრეზიდენტს რუსლან აუშევს, შს მინისტრს და უშიშროების ფედერალური სამსახურის ხელმძღვანელობას.

ხ. ალდამოვი თვლის, რომ ინფორმაცია იმის თაობაზე, თითქოს გატაცებულები ჩეჩნეთის ტერიტორიაზე, კერძოდ, ასინოვსკაიაში იმყოფებიან, რუსეთის სპეცსამსახურების მიერ საქართველო-ჩეჩნეთის კეთილმეზობლური ურთიერთობის წინააღმდეგ მიმართული პროვოკაციაა. (იფრინდა)

რიგში იფარება რეალიზაციასთან დაკავშირებული ხარჯები, შემდეგ კი – გადასახადის, ჯარიმისა და საურავის თანხები. დარჩენილი სახსრები უბრუნდება გადასახადის გადამხდელს სამი საბანკო დღის განმავლობაში. რეალიზაციას ექვემდებარება ქონების მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც უზრუნველყოფს რეალიზაციასთან დაკავშირებულ ხარჯების, გადასახადების, ჯარიმებისა და საურავების თანხების ანაზღაურებას.

3. გადასახადის გადამხდელისაგან ამოღებული უცხოური ვალუტის კონვერტაციას ახდენს საქართველოს ეროვნული ბანკი.

### მუხლი 248
### გადასახადის გადამხდელისათვის კუთვნილი თანხების გადახდევინება

გადახდევინების პროცედურისა და ამ კოდექსის 245-ე მუხლის მიხედვით შეტყობინების შემდეგ საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს:

ა. გაუგზავნოს მესამე პირებს (მათ შორის ბანკს ან სხვა საფინანსო დაწესებულებას) შეტყობინება, რომელიც ითვალისწინებს იმ თანხის გადახდას უშუალოდ საგადასახადო ორგანოსათვის, რომელიც ეკუთვნის გადასახადის გადამხდელს დებიტორებისაგან, ან

ბ. აწარმოოს საინკასო დავალებით (განკარგულებით) კუთვნილი თანხის ჩამოწერა გადასახადის გადამხდელის დებიტორების საბანკო ანგარიშებიდან სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე. საფინანსო დაწესებულებებში უცხოური ვალუტის ანგარიშის არსებობის შემთხვევაში ეს საფინანსო დაწესებულება უცხოურ ვალუტას გადარიცხავს საქართველოს ეროვნულ ბანკში კონვერტირების მიზნით.

### მუხლი 249
### ქონების მიმღების პასუხისმგებლობა გადასახადის გადახდისათვის

თუ გადასახადის გადამხდელმა არ შეასრულა თავისი საგადასახადო ვალდებულებები, პირი, რომელიც იღებს ასეთი გადასახადის გადამხდელის ქონებას, წარმოადგენს მეორე ვალდებულ პირს ამ გადასახადთან მიმართებით, მის მიერ მიღებული ქონებისა და გადამცემი პირის მიერ გადაუხდელი თანხის ფარგლებში.

### მუხლი 250
### გადასახადების მიხედვით უიმედო ვალების ჩამოწერა

გადასახადების, ჯარიმებისა და საურავების მიხედვით უიმედო ვალები ჩამოიწერება, თუ:

ა. გადასახადის გადახდაზე მოთხოვნის წარდგენის ვადა გასულია, ან გადასახადის გადამხდელი საგადასახადო დარღვევებისათვის პასუხისგებაშია მიცემული;

ბ. საგადასახადო ვალდებულებები შეწყვეტილია ამ კოდექსით ან საგადასახადო კანონმდებლობის სხვა აქტებით დადგენილ საფუძველზე.

## თავი 43
## პასუხისმგებლობა

### მუხლი 251
### პასუხისმგებლობა გადახდის წყაროსთან გადასახადის დაუკავებლობისას

გადახდის წყაროსთან გადასახადის დაუკავებელი თანხა გადახდება იმ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, რომლისგანაც პირმა მიიღო შემოსავალი გადასახადის დაკავების გარეშე.

### მუხლი 252
### საურავი ვადაგასულ საგადასახადო გადასახდელებზე

1. თუ გადასახადი თანხა არ არის გადახდილი დადგენილი ვადისათვის, გადასახადის გადამხდელი ვალდებულია გადაიხადოს ვადაზე გადაუხდელი თანხის 0,1 პროცენტი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, გადახდის ვადის დადგენილი თარიღიდან გადასახადის გადახდის თარიღამდე.

2. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევით გადასახადის ზედმეტად გადახდევინების შემთხვევაში პროცენტი გადახდილ უნდა იქნეს გადასახადის გადამხდელისათვის ანაზღაურების შესახებ დეკლარაციის წარდგენის მომენტიდან ნამეტი თანხის დაბრუნების მომენტამდე. იმ შემთხვევაში, თუ ნამეტი თანხა ჩაითვალა, ანაზღაურებად ჩაითვლება იმ გადასახადის გადახდის თარიღი, რომლისთვისაც მოხდა ჩათვლა. ამ მიზნით ანაზღაურება ჩაითვლება განხორციელებულად, თუმცა გადასახადის გადამხდელი დაბრუნებულ თანხას მიიღებს შვიდი დღის განმავლობაში. გადასახდელი პროცენტი ყოველი კვარტალისათვის უთანაბრდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ სამთავრობო სესხისათვის დადგენილ განაკვეთს.

### მუხლი 253
### ჯარიმა დეკლარაციის დაგვიანებით წარდგენისათვის

1. გადასახადის გადამხდელებს, რომლებიც დადგენილ ვადებში არ წარადგენენ საგადასახადო დეკლარაციასა და კანონმდებლობით გათვალისწინებულ ანგარიშების ფორმებს, ფინანსური სანქციის სახით ეკისრებათ ჯარიმა იმ თანხის 5 პროცენტის ოდენობით, რომელიც ნაჩვენები უნდა იყოს ყოველი დაგვიანებული სრული (არასრული) საგადასახადო თვის დეკლარაციაში, მაგრამ არა უმეტეს აღნიშნული თანხის 25 პროცენტისა.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით გამოანგარიშებული ჯარიმა არ შეიძლება იყოს 200 ლარზე ან გადაუხდელი გადასახადის 20 პროცენტზე მეტი დეკლარაციის წარუდგენლობის ყოველი სრული (არასრული) თვისათვის.

3. ამ თავის მიზნებისათვის გადაუხდელი გადასახადი არის სხვაობა გადასახდელ თანხასა და მოცემული დროისათვის გადახდილ თანხას შორის.

### მუხლი 254
### ჯარიმები გადასახადების შემცირებისათვის

1. დეკლარაციაში გადასახადის ოდენობის შემცირებისათვის, რის შედეგადაც ადგილი აქვს კუთვნილი გადასახადის გადაუხდელობას, გადასახადის გადამხდელი ფინანსური სანქციის სახით ჯარიმდება გადასახადის შემცირებული თანხის 10 პროცენტის ოდენობით.

2. თუ ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული შემცირება დიდი ოდენობითაა, მაშინ გადასახადის გადამხდელი ჯარიმდება შემცირებული თანხის 50 პროცენტის ოდენობით.

3. გადასახადის დიდი ოდენობით შემცირებად ითვლება, როცა იგი აღემატება 2.000 ლარს იმ შემთხვევაში, თუ მოცემული თანხა მეტია დეკლარაციაში აღნიშნული გადასახადის 25 პროცენტზე.

4. ამ მუხლით გათვალისწინებული ჯარიმა არ გამოიყენება შესაბამისი ორგანოების მიერ მიცემული არასწორი წერილობითი მითითებების შედეგად გადასახადის თანხის შემცირებისას.

### მუხლი 255
### ბანკებისა და ცალკეულ სახეობათა საბანკო ოპერაციების განმახორციელებელი ორგანიზაციების პასუხისმგებლობა

1. ბანკებისა და ცალკეულ სახეობათა საბანკო ოპერაციების განმახორციელებელი ორგანიზაციების მიმართ, რომლებიც არ ასრულებენ ამ კოდექსის 233-ე მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, გამოიყენება შემდეგი სახის სანქციები:

ა. ჯარიმა ფინანსური სანქციის სახით ფიზიკურ და იურიდიულ პირთა საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშებზე შესრულებული გასავლის ოპერაციების თანხის 10 პროცენტის ოდენობით – იმ შემთხვევაში, თუ მათ არ შეასრულეს ამ კოდექსის 233-ე მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტების მოთხოვნები.

ბ. საურავი იურიდიულ პირთა საანგარიშსწორებო ან სხვა ანგარიშებიდან თანხების ჩამოწერის რიგითობის დაუცველობისა და გადასახადის გადამხდელი კლიენტის ანგარიშებიდან ჩამოწერილი თანხის ბიუჯეტის შემოსავალში დაგვიანებით ჩარიცხვისათვის, აგრეთვე ბიუჯეტში გადასახადების გადახდის თაობაზე გადამხდელისათვის საგადასახადო დავალებების შეუსრულებლად დაბრუნებისათვის – ამ კოდექსის 252-ე მუხლით გათვალისწინებული ოდენობით. ამ შემთხვევაში გადასახადის გადამხდელებს საურავი არ ერიცხებათ.



## თავი 44
## დავათა გადაჭრა

### მუხლი 256
### საგადასახადო ორგანოს გადაწყვეტილების გადასინჯვა

1. გადასახადის გადამხდელს, რომელსაც სადავოდ მიაჩნია დარიცხული გადასახადის თანხა ან საგადასახადო ორგანოს სხვა გადაწყვეტილებები, შეუძლია მიმართოს ამ გადაწყვეტილების მიმღებ საგადასახადო ორგანოს შუამდგომლობით და მოითხოვოს მისი გადასინჯვა. შუამდგომლობაში მითითებული უნდა იყოს მტკიცებულებები და დოკუმენტები, რომლებიც ასაბუთებენ გადასახადის გადამხდელის თხოვნას. შუამდგომლობა წარდგენილ უნდა იქნეს გადასახადის გადამხდელის მიერ გადასახადის დარიცხვის ან სხვა გადაწყვეტილების შესახებ შეტყობინების მიღებიდან 60 დღის ვადაში.

2. საგადასახადო ორგანო განიხილავს გადასახადის გადამხდელის შუამდგომლობას, გამოაქვს დასაბუთებული გადაწყვეტილება და აცნობებს ამის შესახებ გადასახადის გადამხდელს 20 დღის ვადაში.

3. საგადასახადო ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების აპელაცია შეიძლება გაეგზავნოს ზემდგომ საგადასახადო ორგანოს, რომელიც ვალდებულია აცნობოს გადამხდელს თავისი გადაწყვეტილება 20 დღის ვადაში. ზემდგომი საგადასახადო ორგანოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს საგადასახადო ინსპექციაში, რომელიც თავისი გადაწყვეტილების შესახებ აცნობებს გადამხდელს 20 დღის ვადაში.

4. ყოველი შემდგომი აპელაცია წარდგენილი უნდა იქნეს გადაწყვეტილების მისაღებად დადგენილი 20-დღიანი პერიოდის გასვლის შემდეგ, ხოლო გადასახადის გადამხდელის მიერ გადაწყვეტილების შესახებ შეტყობინების მიღების შემთხვევაში – შეტყობინების მიღებიდან 10 დღის ვადაში.

5. გადასახადის გადამხდელს უფლება აქვს გაასაჩივროს საქართველოს საგადასახადო ინსპექციის გადაწყვეტილება სასამართლოში კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6. დარიცხული გადასახადის გადახდის შემთხვევაში გადასახადის გადამხდელს შეუძლია პირდაპირ მიმართოს საქართველოს საგადასახადო ინსპექციას ან სასამართლოს.

### მუხლი 257
### მტკიცების ტვირთი

გასაჩივრების პროცესში საგადასახადო დარიცხვის მცდარობის მტკიცების ტვირთი ეკისრება გადასახადის გადამხდელს.

# კარი XV
# საქართველოს საგადასახადო ინსპექციის სტატუსი და სტრუქტურა

## თავი 45
## ზოგადი დებულებანი

### მუხლი 258
### საქართველოს საგადასახადო ინსპექციის ძირითადი ფუნქციები

საქართველოს საგადასახადო ინსპექციისა და მისი ორგანოების ძირითადი ფუნქციებია:

ა. საგადასახადო კანონმდებლობის დაცვასა და შესრულებაზე კონტროლის უზრუნველყოფა თავისი კომპეტენციის ფარგლებში;

ბ. გადასახადით დაბეგვრის საკითხებზე კანონპროექტებისა და სახელმწიფოთაშორის ხელშეკრულებათა პროექტების მომზადებაში მონაწილეობა;

გ. გადასახადის გადამხდელისათვის უფლებებისა და მოვალეობების განმარტება;

დ. გადასახადის გადამხდელთა დროული ინფორმირება საგადასახადო კანონდებლობაში ცვლილებათა შესახებ.

### მუხლი 259
### საქართველოს საგადასახადო ინსპექციის საქმიანობის სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს საგადასახადო ორგანოების საქმიანობის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუცია, ეს კოდექსი და საქართველოს სხვა ნორმატიული აქტები.

### მუხლი 260
### საქართველოს საგადასახადო ინსპექციის სტატუსი და სტრუქტურა

1. საქართველოს საგადასახადო ინსპექცია არის საგადასახადო კანონმდებლობის დაცვის კონტროლის ერთიანი სახელმწიფო და ცენტრალიზებული მაკონტროლებელი ორგანო, რომელიც შედის ფინანსთა სამინისტროს სისტემაში. მხოლოდ საგადასახადო ორგანოები არიან უფლებამოსილნი უზრუნველყონ გადასახადების სრულად და დროულად გადახდის სახელმწიფო კონტროლი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამ კოდექსით გათვალისწინებულია გადასახადის აკრეფა სხვა ორგანოების მიერ.

2. საქართველოს საგადასახადო ინსპექცია შედგება ცენტრალური აპარატის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების, რაიონებისა და ქალაქების საგადასახადო ინსპექციებისა და საქართველოს საგადასახადო ინსპექციის ოპერატიული სამმართველოსაგან.

3. საქართველოს საგადასახადო ინსპექციის ოპერატიული სამმართველო არის აღმასრულებელი ხელისუფლების სპეციალური ორგანო მოკვლევისა და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა განხორციელების უფლებით. იგი უზრუნველყოფს საგადასახადო სფეროში სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლას, საგადასახადო ორგანოების საქმიანობის უსაფრთხოებასა და მათი მუშაკების დაცვას სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულების დროს კანონსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან.

4. საქართველოს საგადასახადო ინსპექციას ხელმძღვანელობს ინსპექციის უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი; საქართველოს საგადასახადო ინსპექციის უფროსის მოადგილეებს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს საგადასახადო ინსპექციის უფროსი მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით.

5. ავტონომიური რესპუბლიკების, რაიონებისა და ქალაქების საგადასახადო ინსპექციების უფროსებს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს საგადასახადო ინსპექციის უფროსი მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით.

6. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების, რაიონებისა და ქალაქების საგადასახადო ინსპექციები ექვემდებარებიან საქართველოს საგადასახადო ინსპექციას.

7. ოპერატიული სამმართველო აერთიანებს აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების, ქალაქებისა და რაიონების შესაბამის სამსახურებს, რომლებიც უშუალოდ ექვემდებარებიან ოპერატიული სამმართველოს ცენტრალურ აპარატს. ოპერატიული სამმართველოს სტრუქტურული დანაყოფების თანამშრომლებს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს საგადასახადო ინსპექციის უფროსი.

8. ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ სტრუქტურულ ერთეულებს აქვთ ანგარიშები საბანკო დაწესებულებებში და დადგენილი ნიმუშის ბეჭედი.

9. საგადასახადო ორგანოები ფინანსდება საქართველოს ცენტრალური ბიუჯეტიდან.

### მუხლი 261
### საგადასახადო ორგანოების ურთიერთობა სახელმწიფო ხელისუფლების სხვა ორგანოებთან

1. საგადასახადო ორგანოები თავიანთ მოვალეობებს ასრულებენ დამოუკიდებლად და საჭიროებისამებრ თანამშრომლობენ სახელმწიფო ხელისუფლების სხვა ორგანოებთან.

2. აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი ორგანოები და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები მოვალენი არიან დახმარება აღმოუჩინონ და სათანადო ინფორმაცია მიაწოდონ საგადასახადო ორგანოებს საგადასახადო კანონმდებლობის დაცვისა და გადასახადის გადახდაზე კონტროლის დაწესების მიზნით. ამავე მიზნით საბაჟო ორგანოები ვალდებულნი არიან რეგულარულად წარუდგინონ

მათ ხელთ არსებული ინფორმაცია საქართველოს საგადასახადო ინსპექციას. აკრძალულია საგადასახადო ორგანოების საქმიანობაში ჩარევა, გარდა კანონმდებლობით დადგენილი შემთხვევებისა.

### მუხლი 262
### მინდობილი უფლებამოსილების დელეგირების აკრძალვა

საგადასახადო ინსპექციის თანამშრომელს ეკრძალება საქართველოს საგადასახადო ინსპექციის უფროსის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისთვის დაკისრებული ვალდებულების ან მინდობილი უფლებამოსილების გადაცემა სხვა თანამშრომლისათვის.

### მუხლი 263
### წლიური ანგარიშები

1. ყოველი საფინანსო წლის დამთავრების შემდეგ სამი თვის ვადაში საქართველოს საგადასახადო ინსპექციის უფროსი აქვეყნებს საქართველოს საგადასახადო სისტემის მუშაობის ანგარიშს.

2. ანგარიშში უნდა შევიდეს შემდეგი ინფორმაცია:

ა. გადასახადების თანხები, რომლებიც აკრეფილია საქართველოს საგადასახადო ინსპექციის მიერ საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად გადასახადების სახეებისა და რეგიონების მიხედვით;

ბ. გადასახადებზე დავალიანებათა თანხები სათანადო დაყოფით;

გ. ხარჯები, რომლებიც გასწია საქართველოს საგადასახადო ინსპექციამ გადასახადის აკრეფის პროცესში;

დ. სტატისტიკური მონაცემები საგადასახადო შენატანების ელემენტების მიხედვით;

ე. საგადასახადო სისტემის ფუნქციონირების დადებითი და უარყოფითი მხარეების აღწერა;

ვ. იმ ფიზიკური და იურიდიული პირების ჩამონათვალი, რომლებსაც დაერიცხათ გადასახადი და რომლებმაც დარიცხული გადასახადი არ გადაიხადეს სრულად, თუ გადაუხდელი თანხა აღემატება 10.000 ლარს.

## თავი 46
## საგადასახადო ორგანოთა უფლებები და მოვალეობები

### მუხლი 264
### საგადასახადო ორგანოთა მოვალეობანი

საგადასახადო ორგანოები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ვალდებულნი არიან:

ა. დაიცვან გადასახადის გადამხდელთა უფლებები და სახელმწიფოს ინტერესები, გააკონტროლონ გადასახადების გამოანგარიშების სისწორე, სისრულე და დროულად გადახდა;

ბ. უზრუნველყონ გადასახადის გადამხდელთა დროული აღრიცხვა, აწარმოონ დარიცხული და ბიუჯეტებსა და სპეციალურ ფონდებში გადახდილი გადასახადების აღრიცხვა; შეადგინონ გადახდილი გადასახადების ანგარიშგება;

გ. აწარმოონ სახელმწიფოს საკუთრებაში გადასული ჩამორთმეული და უპატრონო ქონების აღრიცხვა, შეფასება და რეალიზაცია;

დ. აწარმოონ სავალუტო ოპერაციების კონტროლი შესაბამის ორგანოებთან თანამშრომლობით;

ე. დაუბრუნონ გადასახადის გადამხდელებს გადასახადების დარიცხულ თანხასთან შედარებით ზედმეტად გადახდილი თანხები ამ კოდექსის 240-ე მუხლის მიხედვით;

ვ. დაიცვან გადასახადის გადამხდელთა შესახებ ინფორმაციის საიდუმლოება ამ კოდექსის 268-ე მუხლის დებულების შესაბამისად;

ზ. შეიმუშაონ დეკლარაციების და გადასახადის გამოანგარიშებისა და გადახდასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტების ფორმები;

თ. აწარმოონ საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის ფაქტების შესწავლა, ანალიზი და შეფასება და შეიტანონ შესაბამისი წინადადებები საგადასახადო სამართალდარღვევათა გამომწვევი მიზეზებისა და პირობების აღმოსაფხვრელად;

ი. საქართველოს საგადასახადო ინსპექციის ოპერატიული სამმართველოს ქვედანაყოფების მეშვეობით აწარმოონ ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით;

კ. გამოავლინონ და აღკვეთონ სამართალდარღვევები, რომლებიც დაკავშირებულია გადასახადის გადაუხდელობასთან ან ჩადენილია მოგების (შემოსავლის) დამალვის ან შემცირებისა და სხვა დასაბეგრი ობიექტების დამალვის მიზნით, გადასახადების გადახდისაგან თავის არიდება, აგრეთვე სხვა სამართალდარღვევები, რის შედეგადაც ზარალი ადგება სახელმწიფოს გადასახადების გადაუხდელობისა ან/და არასრულად გადახდის გამო;

ლ. თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყონ საგადასახადო ინსპექციის საქმიანობის უსაფრთხოება, მის თანამშრომელთა დაცვა კანონსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას;

მ. გამოავლინონ გადასახადისათვის თავის ამრიდებელი ფიზიკური და იურიდიული პირები.

### მუხლი 265
### საგადასახადო ორგანოთა უფლებები

ამ კოდექსის დებულებათა გათვალისწინებით, საგადასახადო ორგანოებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში და კანონმდებლობით დადგენილი წესით უფლება აქვთ:

ა. შეამოწმონ იურიდიული პირების (განსაკუთრებული რეჟიმით მომუშავე იურიდიულ პირთა ჩათვლით) და ფიზიკური პირების ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი დოკუმენტები, საბუღალტრო წიგნი, ანგარიში, ხარჯთაღრიცხვა, ფულადი სახსრები, ფასიანი ქაღალდები და სხვა ფასეულობანი, გაანგარიშებები, დეკლარაციები, გადასახადებისა და ბიუჯეტში სხვა გადასახდელების. გაანგარიშებისა თუ გადახდის სხვა დოკუმენტები; მიიღონ თანამდებობის პირებისა და საწარმოს სხვა თანამშრომლებისაგან აგრეთვე მოქალაქეებისაგან წერილობითი და სიტყვიერი განმარტებები აღნიშნული შემოწმების დროს წამოჭრილ საკითხებზე;

ბ. გამოიკვლიონ მოქმედი კანონმდებლობის დაცვით ორგანიზაციათა და მოქალაქეთა საწარმოო, სასაწყობო, სავაჭრო და სხვა სათავსები, ჩაატარონ დაკვირვება ქრონომეტრაჟის ან სხვა მეთოდის გამოყენებით და განსაზღვრონ დასაბეგრი ობიექტების ოდენობა;

გ. მისცენ საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებსა და სხვა თანამდებობის პირებს სავალდებულოდ შესასრულებელი მითითებები საგადასახადო კანონმდებლობის გამოვლენილ დარღვევათა აღმოფხვრის შესახებ და გააკონტროლონ მათი შესრულება;

დ. იმ საწარმოთა, ორგანიზაციათა, თანამდებობის პირთა და მოქალაქეთა მიმართ, რომლებმაც დაარღვიეს საგადასახადო კანონმდებლობა, გამოიყენონ საგადასახადო სანქციები ამ კოდექსის მიხედვით და ჯარიმა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

ე. ამოიღონ დადგენილ ვადაში გადაუხდელი გადასახადი, ფინანსური სანქციის სახით დაკისრებული ჯარიმა და საურავი, აგრეთვე ადმინისტრაციული ჯარიმა საწარმოებისაგან, თანამდებობის პირებისა და მოქალაქეებისაგან;

ვ. კანონით დადგენილ შემთხვევებში შეადგინონ ოქმები საწარმოთა თანამდებობის პირთა ან მოქალაქეთა მიერ საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის ფაქტებზე და გამოიტანონ დადგენილება ფინანსური სანქციებისა და ადმინისტრაციული სასჯელების შესახებ;

ზ. დასაბეგრი ობიექტის სრულად განსაზღვრის მიზნით განახორციელონ სავაჭრო და სხვა საწარმოებში, აგრეთვე ინდივიდუალურ მეწარმეებთან საქონლის (პროდუქციის) საკონტროლო შესყიდვა;

თ. სამსახურებრივი მიზნებისათვის მიიღონ მონაცემები, ცნობები აგრეთვე დოკუმენტები სამეწარმეო საქმიანობის, შესამოწმებელი ორგანიზაციებისა და მოქალაქეების ანგარიშებზე რიცხული ფულადი სახსრების მდგომარეობისა და ოპერაციების შესახებ ბანკებიდან და სხვა საკრედიტო დაწესებულებებიდან კანონმდებლობით დადგენილი წესით.

### მუხლი 266
### საგადასახადო ორგანოს თანამდებობის პირის პასუხისმგებლობა

1. საგადასახადო ორგანოს თანამდებობის პირის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შეუსრულებლობა ან არასათანადოდ შესრულება იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. საგადასახადო ორგანოს თანამშრომლის არაკანონიერი ქმედების შედეგად გადასახადის გადამხდელისათვის მიყენებული ზარალი ანაზღაურდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან.



ამ კოდექსით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

2. თუ გადასახადის გადამხდელის მიერ ზედმეტად გადახდილი თანხა ჩაითვლება სხვა გადასახადების ვალდებულებათა ანგარიშში, ცნობები აღნიშნული თანხის გამოყენების შესახებ უნდა აღინიშნოს შეტყობინებაში გადასახადის დარიცხული თანხის შესახებ.

### მუხლი 241
### გადასახადის გადახდის ვადის გაგრძელება და საურავის დარიცხვა

გადასახადის გადამხდელის დასაბუთებული წერილობითი განცხადების მიღების შემდეგ საგადასახადო ორგანოს ხელმძღვანელს უფლება აქვს გააგრძელოს გადასახადის გადახდის ვადა, მაგრამ არა უმეტეს 3 თვისა. გადახდის ვადის გაგრძელება არ ათავისუფლებს გადამხდელს საურავის გადახდისაგან ბიუჯეტში გადასახადის არა-დროულად ჩარიცხვის გამო.

### მუხლი 242
### გადასახადების მიხედვით დავალიანებათა დაფარვის წესი

სახელმწიფო ბიუჯეტის დავალიანებათა დაფარვა ხდება შემდეგი თანამიმდევრობით:

ა. გადასახადის თანხა;

ბ. ფინანსური სანქციის სახით დარიცხული ჯარიმის თანხა;

გ. დარიცხული საურავის თანხა.

### მუხლი 243
### გასაჩივრება ან აპელაცია

1. გადასახადის დარიცხულ თანხასთან დაკავშირებით ზემდგომ საგადასახადო ორგანოში გასაჩივრების ან სასამართლოში აპელაციის შემთხვევაში გადასახადის დარიცხული თანხა ექვემდებარება გადახდას და შეიძლება გადახდევინებულ იქნეს გასაჩივრების ან აპელაციის მიუხედავად ამ მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნის გათვალისწინებით. ჯარიმებისა და საურავების სადავო თანხები ამოიღება სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

2. ზემდგომი საგადასახადო ორგანოს უფროსს უფლება აქვს შეაჩეროს დარიცხული გადასახადის გადახდა დავის განხილვის პერიოდში.

3. თუ საჩივარი ან აპელაცია გადასახადის გადამხდელის სასარგებლოდ გადაწყდა, გადასახადის გადამხდელი უფლებამოსილია დაიბრუნოს:

ა. არასწორად გადახდილი გადასახადის ანაზღაურება;

ბ. ამ თანხაზე დარიცხული პროცენტები სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე ამ კოდექსის 252-ე მუხლის მიხედვით.

## თავი 42
## გადასახადის იძულებითი გადახდევინება

### მუხლი 244
### ქონების გირავნობის უფლება

1. თუ გადასახადის გადამხდელი არ იხდის გადასახადს დადგენილ ვადაში, დავალიანების თანხა და სანქციები (გადახდევინებისას შესაძლო დანახარჯებთან ერთად) წარმოადგენს საფუძველს სახელმწიფოს სასარგებლოდ გირავნობის უფლების გამოსაყენებლად ამ გადამხდელის მთელი ქონების მიმართ და ეს უფლება პრიორიტეტულია ყველა სხვა უფლებასთან შედარებით, თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული გირავნობის უფლება წარმოიშობა გადასახადის გადახდის ვადის დადგომის დღის 24.00 საათზე და გრძელდება მანამ, სანამ გადასახადის გადახდის ვალდებულება არ შესრულდება, ან მისი იძულებითი შესრულება შეუძლებელი არ გახდება ხანდაზმულობის ვადის გამო.

3. ამ მუხლით დადგენილი გირავნობის უფლება არ გამოიყენება გირავნობის უფლების მფლობელის მიმართ იმ უფლებასთან მიმართებაში, რომელიც წარმოიშვა საგადასახადო ორგანოს მიერ გადასახადის გადახდის უზრუნველსაყოფად ქონებაზე გირავნობის უფლების შესახებ შეტყობინების რეგისტრაციამდე.

4. საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს აღძრას სასამართლოში სამოქალაქო სარჩელი ამ მუხლით გათვალისწინებული გირავნობის უფლების რეალიზაციის უზრუნველყოფის მიზნით.

5. გადასახადის გადამხდელს უფლება აქვს აღძრას შუამდგომლობა საგადასახადო ორგანოს წინაშე გადასახადის გადახდის უზრუნველსაყოფად გირავნობის უფლების მოხსნის თაობაზე. შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემთხვევაში საგადასახადო ორგანომ უნდა გამოაქვეყნოს სათანადო გადაწყვეტილება.

6. ქონება, რომლის მიმართაც დადგენილია გირავნობის უფლება გადასახადების გადახდის უზრუნველსაყოფად, რჩება გადასახადის გადამხდელის მფლობელობასა და სარგებლობაში, და იგი პასუხისმგებელია მისი დაცვისათვის.

7. დავალიანების დაფარვისას გირავნობის უფლება ექვემდებარება გაუქმებას.

### მუხლი 245
### ქონებაზე ყადაღის დადება

1. საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს გადასახადის გადაუხდელი თანხის გადახდევინება მოახდინოს გადასახადის გადამხდელის ქონებაზე ყადაღის დადებით სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე კანონით დადგენილი წესით. საგადასახადო ორგანოს შეუძლია მოითხოვოს პოლიციელის დასწრება ყადაღის დადების პროცედურის შესრულების მომენტში.

2. საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს გადახდევინება მიაქციოს ქონებაზე, რის შესახებაც წერილობით უნდა შეატყობინოს მოვალეს, სულ ცოტა, ოცდაათი დღით ადრე.

3. თუ საგადასახადო ორგანოს საკმარისი საფუძველი აქვს მიიჩნიოს, რომ გადასახადის გადახდევინებას საფრთხე ემუქრება, მას შეუძლია მოითხოვოს გადასახადის დაუყოვნებლივ გადახდა და, მისი გადაუხდელობის შემთხვევაში, მიაქციოს გადახდევინება ქონებაზე ყადაღის დადებით ამ მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნის გათვალისწინების გარეშე.

4. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული წესით ყადაღადადებული ქონების ამოღება და შენახვა ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

### მუხლი 246
### მესამე პირის მფლობელობაში არსებულ ქონებაზე გადახდევინების მიქცევა

1. თუ გადასახადის გადამხდელის ქონება მესამე პირის მფლობელობაშია, ან მესამე პირს უფლება აქვს გადასახადის გადამხდელის ქონებაზე, რომელზედაც მიქცეულია გადახდევინება, მაშინ ეს პირი ვალდებულია, საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი თანამდებობის პირის მოთხოვნით, აღნიშნული ქონება ან მასზე უფლება გადასცეს საგადასახადო ორგანოს.

2. ამ მოთხოვნის შეუსრულებლობისათვის პირი მატერიალურად პასუხისმგებელია სახელმწიფოს წინაშე მასთან არსებული ქონების ან მასზე უფლების თანხით, მაგრამ არა უმეტეს იმ თანხისა, რომლის მისაღებადაც ქონებაზე მიქცეულია გადახდევინება.

3. ამ მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე ვალდებულების გარდა, თუ მოთხოვნის შეუსრულებლობას არა აქვს რაიმე გონივრული გამართლება, ამ პირს ფინანსური სანქციის სახით დამატებით ეკისრება ჯარიმა ამავე ნაწილის მიხედვით გადახდევინებას დაქვემდებარებული თანხის 50 პროცენტის ოდენობით.

4. პირს, რომელმაც შეასრულა პირველი ნაწილით გათვალისწინებული მოთხოვნა, მისი შესრულების მომენტიდან ეხსნება ვალდებულება გადასახადის გადამხდელის ან სხვა პირის წინაშე საგადასახადო ორგანოსათვის გადაცემული ქონების ან მასზე უფლების ღირებულების ოდენობით და, ამგვარად, იგი თავისუფლდება იმ დანაკარგებსა და ზარალთან დაკავშირებული პასუხისმგებლობისაგან, რომლებსაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს ამ მოთხოვნის შესრულების შედეგად.

### მუხლი 247
### ყადაღადადებული ქონების რეალიზაცია

1. გადასახადის გადამხდელის ყადაღადადებული ქონების რეალიზაცია ხდება სპეციალიზებულ ღია აუქციონზე, რომლის ჩატარების წესსა და პირობებს განსაზღვრავს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

2. ქონების გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსავლით პირველ

განსაზღვრასთან;

გ. დააყენოს მრიცხველები ან აიღოს მათი მაჩვენებლები;

დ. დალუქოს დოკუმენტები ან სხვა მასალები;

ე. თუ ამ ნაწილის „ა"-„დ" პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი თანამდებობის პირი იყენებს სხვა პირის მოწყობილობასა და მასალებს დოკუმენტიდან ამონაწერის ან ასლის მისაღებად, მაშინ საგადასახადო ორგანო მომხმარებელს უხდის ამ მოწყობილობის ან მასალების კომპენსაციას საბაზრო ფასის საფუძველზე. თუ უფლებამოსილი თანამდებობის პირი ახდენს დოკუმენტის ან სხვა მასალის ამოღებას ამ პუნქტში გათვალისწინებული უფლებამოსილების შესაბამისად, მაშინ საგადასახადო ორგანომ უნდა გადაიღოს ასლი ამ დოკუმენტიდან თუ სხვა მასალიდან და ორიგინალი დაუბრუნოს პირს შეძლებისდაგვარად მოკლე ვადაში, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

3. თუ პირი აცხადებს დოკუმენტების ან სხვა დამამტკიცებელი საბუთების ხელშეუხებლობას კანონის შესაბამისად, რომელთა ამოღება ან შესწავლა სურს საგადასახადო ორგანოს ამ მუხლის მიხედვით, მაშინ ხელშეუხებლად გამოცხადებული მასალები თავსდება კონვერტში, ილუქება მათი მფლობელი პირის მიერ და ინახება საგადასახადო ორგანოს მიერ მანამ, სანამ იგი მიმართავდეს სასამართლოს იმის დასადგენად, არის თუ არა ეს მასალა ხელშეუხებელი.

4. ამ მუხლში გამოყენებული ტერმინი კანონიერი მიზანი ნიშნავს ინფორმაციის შეგროვებას:

ა. გადასახადის გადამხდელის ვალდებულების განსაზღვრის მიზნით;

ბ. კონკრეტული პირისათვის გადასახადის გადახდევინების მიზნით.

5. ამ მუხლით ტერმინში უფლებამოსილი თანამდებობის პირი იგულისხმება საგადასახადო ორგანოს თანამშრომელი, რომელსაც ნიშნავს საგადასახადო ორგანოს უფროსი ამ მუხლში მითითებულ უფლებამოსილებათა აღსასრულებლად.

# თავი 40
# გადასახადის თანხების დარიცხვა

### მუხლი 235
### გადასახადის თანხების დარიცხვა

1. ამ კოდექსის მიხედვით გადასახადის თანხების დარიცხვა გულისხმობს კონკრეტულ საგადასახადო პერიოდში გადამხდელისაგან კუთვნილი გადასახადის თანხის საგადასახადო ორგანოში აღრიცხვას. დარიცხვა მოიცავს შესწორებით დარიცხვასა და სავარაუდო დარიცხვას.

2. საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს დაარიცხოს თითოეულ გადამხდელს კუთვნილი გადასახადი ამ კოდექსის მიხედვით, ერთი ან მეტი ქვემოთ ჩამოთვლილი ინფორმაციის წყაროს საფუძველზე:

ა. ინფორმაცია, რომელსაც შეიცავს გადასახადის გადამხდელის საგადასახადო დეკლარაციები;

ბ. ინფორმაცია გადახდილი თანხების შესახებ, რომლებიც აღწერილია ამ კოდექსის 231-ე მუხლში;

გ. შემოწმების მასალები და სხვა სანდო ინფორმაცია, რომელიც ცნობილია საგადასახადო ორგანოსათვის.

3. თუ გადამხდელი არ წარმოადგენს გადასახადის დასარიცხად საჭირო ინფორმაციას, საგადასახადო ორგანო უფლებამოსილია დაარიცხოს მას გადასახადი მის ხელთ არსებული სარწმუნო ინფორმაციის საფუძველზე.

4. თუ საგადასახადო კანონმდებლობა არ მოითხოვს გადასახადის გადახდას დეკლარაციის წარდგენასთან ერთად, აგრეთვე იმ შემთხვევებში, როდესაც საგადასახადო ორგანო დაასკვნის, რომ ადრინდელი დარიცხვა შეცდომითია, საგადასახადო ორგანომ უნდა დაარიცხოს გადასახადი გადამხდელს და გაუგზავნოს მას შეტყობინება დარიცხვის შესახებ ამ კოდექსის 236-ე მუხლის მიხედვით. საგადასახადო ორგანოს შეუძლია მოახდინოს გადასახადის თანხის დარიცხვა ან შეასწოროს გადასახადის ადრე დარიცხული თანხა ამ კოდექსის 237-ე მუხლში მითითებული ხანდაზმულობის ვადის გასვლამდე.

5. თუ გადასახადის გადახდევინება დაკავშირებულია საგადასახადო დეკლარაციების შევსებასთან, გადასახადის გადახდის ვალდებულებათა ამსახველი დეკლარაციის შევსება განიხილება როგორც:

ა. ამ გადასახადის დარიცხვა;

ბ. შეტყობინება ამ გადასახადის გადახდის შესახებ და გადასახადის მოთხოვნა დეკლარაციის წარდგენასთან ერთად.

6. დაკავების გზით გადასახადის გადახდევინებისას, თუ გადასახადის გადამხდელმა არ წარადგინა საგადასახადო დეკლარაცია, ხოლო საგადასახადო ორგანომ არ გაიანგარიშა გადამხდელისაგან კუთვნილი გადასახადის კუთვნილი თანხა სხვა ინფორმაციის საფუძველზე, ითვლება, რომ საგადასახადო ორგანომ საანგარიშო პერიოდში დაარიცხა გადასახადის გადამხდელს სავარაუდო გადასახადის თანხა, რომელიც დაკავებული ჰქონდა გადასახადის გადამხდელს მის მიერ წლის განმავლობაში მიღებული თანხებიდან, და რომ მან გადასახადის გადამხდელს შეატყობინა ამის შესახებ.

### მუხლი 236
### შეტყობინება გადასახადის დარიცხული თანხის შესახებ

გადასახადის დარიცხული თანხის შესახებ გადამხდელს ეგზავნება შეტყობინება, რომელიც შეიცავს შემდეგ მონაცემებს:

ა. გადამხდელის გვარი და სახელი (ან დასახელება);

ბ. გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი;

გ. შეტყობინების თარიღი;

დ. დაბეგვრის ობიექტი;

ე. დარიცხული გადასახადისა და საჯარიმო სანქციების თანხა;

ვ. გადასახადის გადახდის მოთხოვნა და გადახდის ვადები;

ზ. გადასახადის გადახდის ადგილი და წესი;

თ. დარიცხვის საფუძვლები;

ი. გასაჩივრების წესი.

### მუხლი 237
### ხანდაზმულობის ვადები

1. საგადასახადო ორგანოს შეუძლია დაარიცხოს და გადასინჯოს გადასახადის დარიცხული თანხის დარიცხვა და გადასინჯვა საგადასახადო პერიოდის დამთავრებიდან 6 წლის განმავლობაში.

2. გადასახადის გადამხდელი უფლებამოსილია საგადასახადო წლის დამთავრებიდან 6 წლის განმავლობაში მოითხოვოს გადახდილი გადასახადის დაბრუნება ან ჩათვლა.

# თავი 41
# გადასახადის გადახდა, აკრეფა და დაბრუნება

### მუხლი 238
### გადასახადის გადახდის ვადა

გადასახადების გადახდა ხდება ამ კოდექსითა და სხვა ნორმატიული აქტებით გათვალისწინებულ ვადებში.

### მუხლი 239
### გადასახადის გადახდის ადგილი

გადასახადი ექვემდებარება გადახდას:

ა. შეტყობინებაში მითითებული დარიცხვის ადგილის მიხედვით;

ბ. თუ საჭირო არ არის შეტყობინება დარიცხვის შესახებ, – საგადასახადო კანონმდებლობაში მითითებული ადგილის მიხედვით;

გ. თუ საგადასახადო კანონმდებლობაში ადგილი მითითებული არ არის, – გადასახადის გადამხდელი ფიზიკური პირის საცხოვრებელი ადგილის ან გადასახადის გადამხდელი იურიდიული პირის საგადასახადო აღრიცხვის ადგილის მიხედვით.

### მუხლი 240
### გადასახადის ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნება

1. თუ გადასახადის გადახდილი თანხა აღემატება დარიცხულ თანხას, საგადასახადო ორგანო:

ა. ზედმეტად გადახდილ თანხას ჩათვლის გადასახადის გადამხდელის სხვა გადასახადების გადახდის ანგარიშში;

ბ. გადასახადის გადამხდელის თანხმობის შემთხვევაში დარჩენილ ნაწილს ჩათვლის მომავალი გადასახადების ვალდებულებათა ანგარიშში;

გ. უბრუნებს გადასახადის გადამხდელს დარჩენილ თანხას 20-დღიან ვადაში მისი წერილობითი განცხადების მიღების დღიდან, თუ



### მუხლი 267
### ინტერესთა კონფლიქტი

საგადასახადო ორგანოს თანამშრომლებს ეკრძალებათ პროფესიულ ვალდებულებათა შესრულება იმ გადამხდელის მიმართ:

ა. რომელთანაც თანამშრომელი ნათესაურ კავშირშია;

ბ. რომლის მიმართაც ამ თანამშრომელს ან მის ნათესავს აქვს პირდაპირი ან არაპირდაპირი ფინანსური ინტერესი.

### მუხლი 268
### მონაცემთა საიდუმლოება

1. საგადასახადო ორგანოს თანამშრომელი ვალდებულია დაიცვას გადასახადის გადამხდელის შესახებ მონაცემთა საიდუმლოება, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას და უფლება აქვს გადასცეს ეს ინფორმაცია მხოლოდ შემდეგ პირებს:

ა. საგადასახადო ორგანოების თანამშრომლებს – ამ უკანასკნელთა მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების მიზნით;

ბ. სამართალდამცავ ორგანოებს – იმ პირთა შესახებ, რომლებიც კანონით იდევნებიან საგადასახადო სამართალდარღვევათა ჩადენისათვის;

გ. სასამართლოებს – გადასახადის გადამხდელის საგადასახადო ვალდებულებების ან პასუხისმგებლობის განსაზღვრის მიზნით სასამართლოს წარმოებაში არსებულ საქმესთან დაკავშირებით;

დ. სხვა ქვეყნების საგადასახადო ორგანოებს – საერთაშორისო ხელშეკრულებათა მიხედვით;

ე. სახელმწიფო ფონდებს – სახელმწიფო ფონდების შესახებ კანონმდებლობით განსაზღვრული ფუნქციების აღსრულების მიზნით;

ვ. საბაჟო ორგანოებს – საბაჟო კანონმდებლობის ადმინისტრირების მიზნით, აგრეთვე ორგანოებს, რომელთაც აქვთ გადასახადის ადმინისტრირების უფლება ამ კოდექსის მიხედვით – ამ გადასახადების ადმინისტრირების მიზნით.

2. საგადასახადო ორგანოების თანამშრომლები ვალდებულნი არიან დაიცვან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს მიღებული ინფორმაციის საიდუმლოება და გამოიყენონ მხოლოდ იმ მიზნის მისაღწევად, რის გამოც ნებადართულია მათთვის ამ ინფორმაციის წარდგენა.

3. პირს, რომელმაც მიიღო ამ მუხლით განსაზღვრული ინფორმაცია, უფლება არა აქვს გასცეს ამ ინფორმაციის საიდუმლოება და ვალდებულია მისი ამსახველი დოკუმენტები დაუბრუნოს საგადასახადო ორგანოს.

4. ინფორმაციას, რომელიც ეხება გადასახადის გადამხდელს, შეიძლება გაეცნოს სხვა პირი, თუ მისი თხოვნით გადასახადის გადამხდელი დაადასტურებს თავის თანხმობას პირადად ან წერილობით.

5. ეს მუხლი არ გამოიყენება ამ კოდექსის 263-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე" პუნქტით გათვალისწინებული, გამოსაქვეყნებლად განკუთვნილი ინფორმაციის მიმართ.

# თავი 47
# საგადასახადო ორგანოს თანამშრომელთა სამართლებრივი და სოციალური დაცვა

### მუხლი 269
### საგადასახადო ორგანოს თანამშრომელთა სამართლებრივი და სოციალური დაცვა

1. საგადასახადო ორგანოს თანამშრომლებზე ვრცელდება პოლიციის თანამშრომელთა სოციალური დაცვის გარანტიები, რომლებიც განსაზღვრულია „პოლიციის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონით.

2. საგადასახადო ორგანოს თანამშრომლებისათვის კანონმდებლობით დადგენილია საკლასო ჩინები და ერთიანი ფორმის ტანსაცმელი.

3. საქართველოს საგადასახადო ინსპექციის ოპერატიული სამმართველოს თანამშრომლებისა და მათი ოჯახის წევრების საპენსიო უზრუნველყოფა ხორციელდება „შინაგან საქმეთა ორგანოს რიგითი და ხელმძღვანელი შემადგენლობის სამხედრო მოსამსახურეთა და მათი ოჯახის წევრების საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

### მუხლი 270
### საგადასახადო ორგანოთა მატერიალური წახალისებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ფონდი

1. საგადასახადო ორგანოთა მატერიალური წახალისებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ფონდი იქმნება საგადასახადო ორგანოების მიერ კონტროლირებადი შემოსავლების მიხედვით ბიუჯეტსა და სპეციალურ ფონდებში ფაქტობრივად ჩარიცხული თანხების შესაბამისად შემდეგი ოდენობით:

ა. ბიუჯეტისა და სპეციალური ფონდების შემოსავალთა დავალების 70 პროცენტიდან 80 პროცენტამდე შესრულებისას – 70 პროცენტზე ზევით ჩარიცხული თანხის 3 პროცენტი;

ბ. ბიუჯეტისა და სპეციალური ფონდების შემოსავალთა დავალების 80 პროცენტიდან 90 პროცენტამდე შესრულებისას – 80 პროცენტზე ზევით ჩარიცხული თანხის 5 პროცენტი;

გ. ბიუჯეტისა და სპეციალური ფონდების შემოსავალთა დავალების 90 პროცენტიდან 100 პროცენტამდე შესრულებისას – 90 პროცენტზე ზევით ჩარიცხული თანხის 10 პროცენტი;

დ. ბიუჯეტისა და სპეციალური ფონდების შემოსავალთა დავალების 100 პროცენტით მეტი შესრულებისას – 100 პროცენტზე ზევით ჩარიცხული თანხის 15 პროცენტი.

2. მატერიალური წახალისებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ფონდის გამოყენების წესს განსაზღვრავს საქართველოს საგადასახადო ინსპექცია.

# თავი 48
# დასკვნითი და გარდამავალი დებულებანი

### მუხლი 271
### საგადასახადო კოდექსის ამოქმედება

1. „საქართველოს საგადასახადო კოდექსი" ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს, გარდა ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული მუხლებისა და კარებისა.

2. ამ კოდექსის:

ა. 64-ე მუხლი – „გადახდის წყაროსთან არარეზიდენტთა დაბეგვრა", კარი III – „დამატებული ღირებულების გადასახადი" (92-94-ე მუხლების გარდა. ეს მუხლები ამოქმედდეს ამ კოდექსის გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს), კარი IV – „აქციზი" – ამოქმედდეს 1997 წლის 1 სექტემბრიდან.

ბ. კარი II – „საშემოსავლო და მოგების გადასახადები" (გარდა 64-ე მუხლისა), კარი V – „ქონების გადასახადი", კარი VI – „მიწის გადასახადი", კარი VII – „ავტოსატრანსპორტო საშუალებების მესაკუთრეთა გადასახადი", კარი VIII – „გადასახადი ქონების გაცემისათვის", კარი IX – „სოციალური გადასახადი", კარი X – „გადასახადი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის", კარი XI – „გადასახადი მავნე ნივთიერებებით გარემოს დაბინძურებისათვის, კარი XII – „გადასახადი საქართველოს ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების შემოსვლისათვის" – ამოქმედდეს 1998 წლის 1 იანვრიდან;

გ. მუხლი 245-ე – „ქონებაზე ყადაღის დადება" და მუხლი 247-ე – „ყადაღადადებული ქონების რეალიზაცია" – ამოქმედდეს კანონმდებლობაში სათანადო ცვლილებების შეტანისთანავე;

დ. 112-ე და 130-ე მუხლები მსუბუქი ავტომობილების იმპორტის დაბეგვრასთან დაკავშირებით – ამოქმედდეს 2000 წლის 1 იანვრიდან.

### მუხლი 272
### ნორმატიული აქტები, რომლებიც ძალას კარგავს საგადასახადო კოდექსის ამოქმედებასთან დაკავშირებით

ამ კოდექსის 271-ე მუხლში მითითებული შესაბამისი მუხლებისა და კარების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად ჩაითვალოს შემდეგი კანონები:

1. „საგადასახადო სისტემის საფუძვლების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის 1993 წლის 21 დეკემბრის კანონი (საქართველოს პარლამენტის უწყებები, №12-13, 1993 წ., მუხ. 231) – ამ კოდექსის გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

2. „საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საგადასახადო სამ-

სახურის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის 1993 წლის 23 დეკემბრის კანონი (საქართველოს პარლამენტის უწყებები, №12–13, 1993 წ., მუხ. 234) – ამ კოდექსის გამოქვეყნებიდან მე–15 დღეს.

3. „საწარმოთა ქონების გადასახადის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის 1993 წლის 24 დეკემბრის კანონი (საქართველოს პარლამენტის უწყებები, №12–13, 1993 წ., მუხ. 244) – 1998 წლის 1 იანვრიდან.

4. „ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის 1993 წლის 24 დეკემბრის კანონი (საქართველოს პარლამენტის უწყებები, №12–13, 1993 წ., მუხ. 246) – 1998 წლის 1 იანვრიდან.

5. „დამატებული ღირებულების გადასახადის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის 1993 წლის 24 დეკემბრის კანონი (საქართველოს პარლამენტის უწყებები, №12–13, 1993 წ., მუხ. 240) – 1997 წლის 1 სექტემბრიდან.

6. „აქციზების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის 1993 წლის 24 დეკემბრის კანონი (საქართველოს პარლამენტის უწყებები, №12–13, 1993 წ., მუხ. 242) – 1997 წლის 1 სექტემბრიდან.

7. „საწარმოთა მოგების (შემოსავლის) გადასახადის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის 1993 წლის 21 დეკემბრის კანონი (საქართველოს პარლამენტის „უწყებები, №12–13, 1993 წ., მუხ. 233) – 1998 წლის 1 იანვრიდან.

8. „ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის 1993 წლის 24 დეკემბრის კანონი (საქართველოს პარლამენტის უწყებები, №12–13, 1993 წ., მუხ. 248) – 1998 წლის 1 იანვრიდან.

9. „საგადასახადო სისტემის საფუძვლების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე" საქართველოს რესპუბლიკის 1994 წლის 11 ნოემბრის კანონი (საქართველოს პარლამენტის უწყებები, №21–22, 1994 წ., მუხ. 475) – ამ კოდექსის გამოქვეყნებიდან მე–15 დღეს.

10. „საგადასახადო სისტემის საფუძვლების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონში დამატების შეტანის თაობაზე" საქართველოს 1997 წლის 21 თებერვლის კანონი (პარლამენტის უწყებანი, საკანონმდებლო დამატება №9–10 (41–42/11), 15 მარტი, 1997 წ.) – ამ კოდექსის გამოქვეყნებიდან მე–15 დღეს.

11. „საქართველოს საგადასახადო სისტემის მარეგულირებელ საკანონმდებლო აქტებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ" საქართველოს 1996 წლის 27 დეკემბრის კანონი (პარლამენტის უწყებანი, საკანონმდებლო დამატება №1–2, (33–34/7), 22 იანვარი, 1997 წ.):

ა. პირველი და მე–2 მუხლები – ამ კოდექსის გამოქვეყნებიდან მე–15 დღეს;

ბ. მე–3, მე–5 და მე–6 მუხლები – 1997 წლის 1 სექტემბრიდან;

გ. მე–4, მე–7, მე–8, მე–9 და მე–10 მუხლები – 1998 წლის 1 იანვრიდან.

12. „საგადასახადო სისტემის საფუძვლების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე" საქართველოს 1997 წლის 1 მაისის კანონი (პარლამენტის უწყებანი, საკანონმდებლო დამატება, №21–22, 31 მაისი, 1997 წ.) – ამ კოდექსის გამოქვეყნებიდან მე–15 დღეს.

13. „დამატებული ღირებულების გადასახადის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე" საქართველოს რესპუბლიკის 1994 წლის 11 ნოემბრის კანონი (საქართველოს პარლამენტის უწყებები, №21–22, 1994 წ., მუხ. 471) – 1997 წლის 1 სექტემბრიდან.

14. „საგადასახადო კანონმდებლობაში ზოგიერთი ცვლილების შეტანის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის 1995 წლის 15 ივნისის კანონი (საქართველოს პარლამენტის უწყებები, №27–30, 1994–1995 წ., მუხ. 638):

ა. პირველი და მე–2 ნაწილები ამ კოდექსის გამოქვეყნებიდან მე–15 დღეს;

ბ. მე–3 და მე–4 ნაწილები – 1997 წლის 1 სექტემბრიდან.

15. „საქართველოს 1996 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს 1996 წლის 9 თებერვლის კანონი (პარლამენტის უწყებანი, №9, მაისი, 1996 წ.):

ა. მე–11, მე–12 და მე–18 მუხლები – 1997 წლის 1 სექტემბრიდან;

ბ. მე–13, მე–14, მე–15 და მე–16 მუხლები – 1998 წლის 1 იანვრიდან.

16. „საქართველოს 1996 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე" საქართველოს 1996 წლის 7 მარტის კანონი (პარლამენტის უწყებანი, დამატება №004, აპრილი, 1996 წ.) – 1997 წლის 1 სექტემბრიდან.

17. „დამატებული ღირებულების გადასახადის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონში დამატების შეტანის თაობაზე" საქართველოს 1997 წლის 5 თებერვლის კანონი (პარლამენტის უწყებანი, საკანონმდებლო დამატება, №7–8, (39–40/10), 27 თებერვალი 1997 წ.) – 1997 წლის 1 სექტემბრიდან.

18. „გრანტით მიღებული საქონლისა და ფულადი სახსრების დაბეგვრის თაობაზე" საქართველოს 1996 წლის 27 ივნისის კანონი (პარლამენტის უწყებანი, №19–20, ივნისი, 1996 წ.):

ა. მე–2 და მე–3 პუნქტები – 1997 წლის 1 სექტემბრიდან;

ბ. მე–4 და მე–5 პუნქტები – 1998 წლის 1 იანვრიდან.

19. „დამატებული ღირებულების გადასახადის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე" საქართველოს 1997 წლის 21 თებერვლის კანონი (პარლამენტის უწყებანი, საკანონმდებლო დამატება, №9–10, (41–42/11), 15 მარტი, 1997 წ.) – 1997 წლის 1 სექტემბრიდან.

20. „საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საგადასახადო სამსახურის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონში ცვლილებებისა და დამატების შეტანის თაობაზე" საქართველოს რესპუბლიკის 1994 წლის 11 ნოემბრის კანონი (საქართველოს პარლამენტის უწყებები, №21–22, 1994 წ., მუხ. 467) – კოდექსის გამოქვეყნებიდან მე–15 დღეს.

21. „ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონში დამატებების შეტანის თაობაზე" საქართველოს 1997 წლის 14 მაისის კანონი (გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა, №124, 31 მაისი, 1997 წ.) – 1998 წლის 1 იანვრიდან.

22. „ინვალიდთა სოციალური დაცვის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის 1995 წლის 14 ივნისის კანონის 32–ე მუხლი (საქართველოს პარლამენტის უწყებები, №27–30, 1994–95 წ., მუხ. 633) – 1997 წლის 1 სექტემბრიდან.

23. „აქციზების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე" საქართველოს 1997 წლის 21 თებერვლის კანონი (პარლამენტის უწყებანი, №9–10 (41–42/11), 15 მარტი, 1997 წ.) – 1997 წლის 1 სექტემბრიდან.

24. „აქციზების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე საქართველოს რესპუბლიკის 1994 წლის 11 ნოემბრის კანონი (საქართველოს პარლამენტის უწყებები, №21–22, 1994 წ., მუხ. 479) – 1997 წლის 1 სექტემბრიდან.

25. „საქართველოს რესპუბლიკაში საგზაო ფონდის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის 1995 წლის 2 სექტემბრის კანონი (საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1995 წ., №№31–33, მუხ. 683) – 2001 წლის 1 იანვრიდან, გარდა ამ კანონის მე–6 და მე–7 მუხლებისა, რომლებიც ძალადაკარგულად ჩაითვალოს 1998 წლის 1 იანვრიდან.

### მუხლი 273
### გარდამავალი დებულებები

1. საგადასახადო კოდექსის 54–ე მუხლით გათვალისწინებული ძირითადი საშუალებების ღირებულებითი ბალანსი 1998 წლის 1 იანვრისათვის განისაზღვრის 1997 წლის ბოლოსათვის ამ საშუალებების ნარჩენი ღირებულებით.

2. 2000 წლის 31 დეკემბრამდე მსუბუქი ავტომობილების იმპორტის დროს იმპორტიორის გადასახდელ გადასახადად განისაზღვრის:

ა. აქციზი – 0.1 ლარის ოდენობით იმპორტული ავტომობილის ძრავის მოცულობის ყოველ კუბურ სანტიმეტრზე;

ბ. დამატებული ღირებულების გადასახადი – 5%–ის ოდენობით.

3. ელექტროენერგეტიკული სექტორის საწარმოებისათვის, 2000 წლის 1 იანვრამდე პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) მიწოდების მოცულობა განისაზღვრის ფაქტობრივად ანაზღაურებული ღირებულების მიხედვით.

4. აღმასრულებელმა ხელისუფლებამ საგადასახადო კოდექსს შეუსაბამოს გადასახადებთან დაკავშირებული კანონქვემდებარე აქტები

5. საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტმა შეიმუშაოს და პარლამენტს განსახილველად წარუდგინოს კანონპროექტი საგადასახადო ორგანოების მიერ ქონებაზე ყადაღის დადების სამართლებრივი მექანიზმის თაობაზე.

საქართველოს პრეზიდენტი
**ედუარდ შევარდნაძე**
თბილისი, 1997 წლის 13 ივნისი.



# თავი 38
# ინსტრუქციები და მითითებები

### მუხლი 227
### ინსტრუქციები

1. საქართველოს ფინანსთა მინისტრი ამ კოდექსის აღსრულების მიზნით გამოსცემს ინსტრუქციებს. ინსტრუქციის არც ერთ დებულებას, რომელიც არ შეესაბამება ამ კოდექსს, სამართლებრივი ძალა არ გააჩნია.

2. ქვემოთ ჩამოთვლილ შემთხვევებში ინსტრუქციები უნდა შეუთანხმდეს შესაბამის სამინისტროებსა და უწყებებს:

ა. გადასახადი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის – საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს;

ბ. გადასახადი მავნე ნივთიერებებით გარემოს დაბინძურებისათვის – საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს;

გ. ავტოსატრანსპორტო საშუალებების მესაკუთრეთა გადასახადი – საგზაო დარგის მართვის ორგანოს;

დ. მიწის გადასახადი – საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტს;

ე. სოციალური გადასახადი – საქართველოს სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების სამინისტროს;

ვ. გადასახადი საქართველოს ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების შემოსვლისათვის – საგზაო დარგის მართვის ორგანოს.

### მუხლი 228
### მითითებები საგადასახადო კანონმდებლობის გამოყენებასთან დაკავშირებით

საქართველოს საგადასახადო ინსპექციის უფროსი გამოსცემს მითითებებს საგადასახადო ორგანოების მიერ საგადასახადო კანონმდებლობის გამოყენებასთან დაკავშირებით. საგადასახადო ორგანოები საგადასახადო კანონმდებლობის აღსრულების პროცესში ხელმძღვანელობენ ასეთი მითითებებით საქართველოს საგადასახადო ინსპექციის უფროსის მიერ მათ გაუქმებამდე.

# თავი 39
# ინფორმაციის წარდგენა და შეკრება

### მუხლი 229
### დოკუმენტაციის შედგენა

1. პირი ვალდებულია შეადგინოს იმ ოპერაციების დოკუმენტაცია, რომლებიც შეიძლება გახდეს ამ პირის მხრიდან:

ა. საგადასახადო ვალდებულებათა წარმოშობის საფუძველი;

ბ. გადასახადის დაკავების ვალდებულების წარმოშობის საფუძველი;

გ. საინფორმაციო ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულების წარმოშობის საფუძველი.

2. გადასახადის გადამხდელები ვალდებულნი არიან აწარმოონ ასეთი დოკუმენტაცია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ნორმატიული აქტების მიხედვით.

3. თუ გადასახადის გადამხდელის ცალკეული დოკუმენტები უცხოურ ენებზეა შედგენილი და მათი შინაარსი საგადასახადო ორგანოსათვის გაუგებარია, საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს მოითხოვოს მათი ქართულ ენაზე თარგმნა.

### მუხლი 230
### საგადასახადო დეკლარაციის წარდგენა

1. გადასახადის გადამხდელები ვალდებულნი არიან ამ კოდექსის დებულებათა მიხედვით საგადასახადო დეკლარაციები წარუდგინონ საგადასახადო ორგანოებს იმ ვადებში, რომლებიც ამ კოდექსით არის განსაზღვრული, იმ ფორმითა და იმ ადგილზე, როგორც ეს საქართველოს საგადასახადო ინსპექციის მიერ არის დადგენილი.

2. საგადასახადო დეკლარაციას ხელს აწერს გადასახადის გადამხდელი ან, მისი არყოფნის ან ქმედუუნარობის შემთხვევაში, მისი კანონიერი წარმომადგენელი.

3. დამოუკიდებელი აუდიტორი, რომელიც გადამხდელს მომსახურებას უწევს საგადასახადო დეკლარაციის შედგენაში, ვალდებულია ხელი მოაწეროს ამ დეკლარაციას, დაუსვას ბეჭედი და მიუთითოს თავისი საიდენტიფიკაციო ნომერი. თუ საგადასახადო დეკლარაციას ადგენს ერთზე მეტი შემდგენელი, მას ხელი უნდა მოაწეროს მხოლოდ მთავარმა შემდგენელმა.

4. დამოუკიდებელი აუდიტორის პასუხისმგებლობა მის მიერ ხელმოწერილ დეკლარაციაში წარმოდგენილი ინფორმაციის სიზუსტისათვის განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით.

### მუხლი 231
### გადახდილი თანხების შესახებ ინფორმაციის წარდგენა

პირი, რომელიც ახორციელებს შესრულებული სამუშაოს ან გაწეული მომსახურების ანაზღაურებას, ან სხვა სახით გასცემს, ვალდებულია საგადასახადო ორგანოსა და თანხის მიმღებს წარუდგინოს ინფორმაცია გადახდილი თანხების შესახებ შესაბამისი ინსტრუქციის თანახმად.

### მუხლი 232
### საგადასახადო დეკლარაციის წარდგენის ვადის გაგრძელება

თუ გადასახადის გადამხდელი დეკლარაციის წარდგენის ვადის გასვლამდე მიმართავს საგადასახადო ორგანოს ვადის გაგრძელების თაობაზე და მიმართვასთან ერთად გადაიხდის იმ დროისათვის მოსალოდნელ გადასახადსაც, დეკლარაციის წარდგენის ვადა ავტომატურად გაგრძელდება სამი თვით. ამ მუხლის მიხედვით დეკლარაციის წარდგენის ვადის გაგრძელება არ ცვლის გადასახადის გადახდის დროს.

### მუხლი 233
### საბანკო ანგარიშები

ბანკები და საბაზრო ოპერაციების ცალკეულ სახეობათა შემსრულებელი სხვა ორგანიზაციები ვალდებულნი არიან:

ა. ფიზიკურ და იურიდიულ პირებს გაუხსნან საანგარიშსწორებო ანგარიშები იმ დოკუმენტის წარდგენის შემდეგ, რომელიც ადასტურებს საგადასახადო ორგანოების მიერ გადამხდელისათვის საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭებას, აცნობონ საგადასახადო ორგანოს გადამხდელისათვის აღნიშნული ანგარიშების გახსნის შესახებ და არ აწარმოონ ოპერაციები ამ ანგარიშის მიხედვით საბანკო დოკუმენტებში გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომრის მითითების გარეშე;

ბ. პირველ რიგში შეასრულონ გადასახადის გადამხდელის საგადასახადო დავალებები და საგადასახადო ორგანოს საინკასო დავალება მათი საანგარიშსწორებო ან სხვა ანგარიშებიდან გადასახადის გადახდის თაობაზე;

გ. ჩარიცხონ (გადარიცხონ ბანკში ან სხვა საფინანსო დაწესებულებაში, რომელიც ბიუჯეტის საკასო შესრულების მომსახურებას ეწევა) გადასახადის თანხები შესაბამისი ბიუჯეტის შემოსავალში გადასახადის გადამხდელის საანგარიშსწორებო ან სხვა ანგარიშიდან ფულის ჩამოწერის ოპერაციის შესრულებიდან არა უგვიანეს მეორე დღისა.

### მუხლი 234
### საგადასახადო ორგანოებისათვის ინფორმაციის წარდგენა

1. საგადასახადო კონტროლის განხორციელებისათვის კანონიერ მიზნებთან დაკავშირებით, საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს წერილობითი ფორმით შეტყობინების გაგზავნის გზით პირს, მიუხედავად იმისა, არის თუ არა იგი გადასახადის გადამხდელი, მოსთხოვოს წარადგინოს შეტყობინებაში მითითებული ინფორმაცია.

2. საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილ თანამდებობის პირს უფლება აქვს:

ა. გადაიღოს ნებისმიერი დოკუმენტის ასლი;

ბ. ამოიღოს დოკუმენტი ან სხვა მასალა, რომელსაც კავშირი აქვს კანონიერ მიზანთან დაკავშირებით საგადასახადო ვალდებულების



დასაწყისი იხ. „საქართველო" №69,70,71,72,73.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ექსპერტიზის პასუხი დაახლოებით 10 დღეში იქნება

წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საერთაშორისო ფედერაციის საქართველოს დელეგაციის ოფისში ექსპერტიზა ჩაუტარდა ფედერაციის კუთვნილ ა/მანქანას „ტოიოტა“. იგი ჩაატარა იუსტიციის სამინისტროს ექსპერტთა 2-კაციანმა ჯგუფმა.

როგორც „იფრინდა“-ს კორესპონდენტთან საუბარში საგამოძიებო დეპარტამენტის თბილისის საგამოძიებო სამმართველოს განყოფილების უფროსმა ვახტანგ ბედოშვილმა განაცხადა, ეს არის მხოლოდ და მხოლოდ ტექნიკური დათვალიერება, რომლითაც ვერ დადასტურდება ა. მარინოვის ბრალეულობა. მისივე თქმით, დათვალიერების დასკვნა დაახლოებით 10 დღეში იქნება.

კორესპონდენტის შეკითხვაზე, არსებობს თუ არა ამის პრაქტიკა, რომ დამნაშავე გარდაცვლილი აღმოჩნდეს, ბ.ბედოშვილმა უპასუხა, რომ ასეთი შემთხვევები არსებობს და არც აღნიშნულ შემთხვევაშია ეს გამორიცხული. (იფრინდა)

## „ახალგაზრდა ეროვნულ-დემოკრატები აგრძელებენ ბრძოლას თავდაცვის მინისტრის წინააღმდეგ“

– განაცხადა ახალგაზრდა ედპ-ს თავმჯდომარემ ჯაბა სამუშიამ გუშინ გამართულ პრეს-კონფერენციაზე. იგი მიესალმა მმართველი პარტიის ახალგაზრდული ორგანიზაციის მათდამი გამოხმაურებას და აღნიშნა, რომ „მოქალაქეთა კავშირზე“ ბევრად არის დამოკიდებული ვ.ნადიბაიძის ყოფნა-არყოფნის საკითხი.

ახალგაზრდა ედპ-ს ლიდერმა მთელი რიგი ბრალდებები წაუყენა ვ.ნადიბაიძეს, რაც იმაში გამოიხატება, რომ თავდაცვის მინისტრი აფერხებს ქართული ჯარის ჩამოყალიბებას. გარდა ამისა, ჯ.სამუშიას თქმით, ვ.ნადიბაიძე ისეთ ხალხს ითხოვს თანამდებობებიდან, ვინც შემოქმედებითად უყურებს ჯარის შექმნას. მისივე თქმით, ოფიციალური მონაცემებით, საქართველოს, არსებული 26 ათასამდე ჯარისკაცის ფონზე 300-მდე დეზერტირი ჰყავს,რაც არმიის 13-15%-ია. თანდათანობით ინგრევა ყოფილი „დოსააფი“-ს ბაზები, კატასტროფულია ჰიგიენური მდგომარეობა, სამხედრო ნაწილებში სუფევს დიფტერია, მენინგიტი და სხვა ინფექციური დაავადებები. ჯარის ნახევარი ბოტკინით არის დაავადებული, 60-მდე ჯარისკაცს ფსიქიური დაავადება აღმოაჩნდა და სხვა.

აღნიშნული მდგომარეობიდან გამოსავალს ახალგაზრდა ეროვნულ-დემოკრატები თავდაცვის მინისტრის დაუყოვნებლივ გათავისუფლებაში ხედავენ და თვლიან, რომ ამ საკითხზე პარლამენტმა და მთავრობამ სასწრაფოდ უნდა მოახდინოს რეაგირება. (იფრინდა)

# „მეხუთე დასის“ ზეიმსა ზედა

ან · კიდევ, მაშინ აფხაზეთიდან მომავალი ვალიკო ჯუღელი: თბილისში დამოუკიდებლობა გამოუცხადებიათო?! „წყეულ ნაციონალიზმს გაუმარჯვნია!.. ოოო, საცოდავო, საწყალო, წამებულო რუსეთო! როგორ მიყვარდი მე შენ! შენი ნათელი მომავალი, შენი საოცნებოდ გაბრწყინებული თავისუფლება და როგორ ვნაღვლობ ახლა, როგორ დავსტირი შენს დანგრეულ, დაუძლურებულ, დაღუპულ სხეულს!“..

და ასე გამოცხადდა, შეცხადებით, სიცხადე „იძულებითი დამოუკიდებლობისა“, ანუ: აღზევება ილიას ადგილზე ანტიილიელი ნოესი, ანუ საერთოდ – ილიელთა ნაოცნებარზე აღზევება ყოველთა ანტიილიელთა!

დიახ, ისტორიას უყვარს, ხშირად, ასეთი „გახუმრება“, ფარსი, პარადოქსული ლაზღანდარობა...

ხოლო, 1990 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობას აცხადებს, ვიმეორებთ – სრულად და სუფთად ეროვნულ-ნაციონალური, ილიაური ძალა, რომლის მთავარი გმირია ზვიად გამსახურდია, ძე დიდი ქართველი მწერლის, კონსტანტინე გამსახურდიასი, თვითონაც ფრიად განსწავლული ფილოლოგოსი და მწერალი, წრფელად პატრიოტი და კეთილშობილი ეპიგონი დიდი ილია ჭავჭავაძისა.

მაშ, გვაქვს „დამოუკიდებლობის დღის“ – 26 მაისის ორი ვარიაცია: 1918 წლის ანტიილიაური „მესამე დასური“ და 1990 წლის ილიაური „მეოთხე დასური“.

მაგრამ „მესამემაც“ და „მეოთხემაც“ რაღაც ორ-ორი წელი ძლივს მოითვლა, რომ კვლავ იმძლავრა რუსული ვარიაციის ინტერნაციონალმა და აი, ახალი სახელისუფლებო „მეხუთე დასი“ 1997 წლის 26 მაისს აღნიშნავს და იხდის დიდი ზარ-ზეიმობით!

და, ზეიმობს, მისთვის სრულად ბუნებრივად, მიკერძოებით „მესამე დასისადმი“, ხოლო „მეოთხე დასი“? არც ერთი სიტყვა „მეოთხე დასზე“, არც მის ბელადზე, „გამოცხადების“ მთავარ გმირზე, – თითქოს იგი და მისიანნი (ზვიადი და ზვიადისტები) ბუნებაშიც არასოდეს არ გაჩენილან!

საზეიმო გამოფენები- ილიას დაუძინებელი მტრის, საქართველოს დიადი ისტორიის მოძულე და მაგინებელი ნოე ჟორდანიას პორტრეტებისა... სრული აკრძალვა და დაკრძალვა ილიას ერთგული მიმდევრის, ზვიად გამსახურდიას ხსენებისაც კი.

და მაშინ „ზვიადისტებმა“ იმ ზეიმის ჩაშლა სცადეს და საპასუხოდ თვით „ჩაიშალნენ“.

ეს იყო ყოვლად უამური რეციდივი ხუთი წლის წინათ რუსთაველის გამზირზე ატეხილი ძმათაშორისი შეტაკებისა.

და, ღმერთმა დაგვიფაროს იმ მარად საგლოველი სისხლისქცევის და ივარქმნის კვლავაც ოდესმე განმეორებისაგან!

ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა დასრულდეს საქართველოში ეს გასაოცრად პათოლოგიური „ზვიადისტობაც“, „ანტიზვიადისტობაც“ და საერთოდ ყოველი სახის ურთიერთ მოქიშპეთა და მოკრიჭეთა „ისტობანი“?!

იქნებ სჯობდეს, „ზვიადისტებმა“ მოწყალება მოიღონ და სწორედ თავისი „ცისმილმიერი ზვიადისტობით“ ნუღარ აშფოთებენ აწ გარდასული პრეზიდენტის სულს, რომელსაც უეჭველ მწარედ, ნაღვლიანად გაეღიმებოდა მის „გაუსწორებელ მიმდევართა“ აკვიატებულ ლოდინსა ზედა: „იგი უეჭველ მობრუნდება!.. იგი აღსდგა და სადაცაა გამოჩნდება!.. ცოტა კიდევ... ცოტა კიდევ და... აჰა, გამოჩნდა კიდეც!.. აბა, იმ ღრუბელს დაუკვირდი!.. აი, ისიც! როგორ გვიღიმის!.. თვალი ჩაგვიკრა!“... და ელიან, ელიან – ცით, ზღვით, თუ უშორესი და უზღვროესი აპეირონით...

და, ვიდრემდის, უფალო?!

დაასვენეთ ის უბედური (თუ ბედნიერი?!).

თქვენც დაასვენეთ, ყოველნაირო „ანტიზვიადისტებო“, ყველამ ერთად – აწ სახელისუფლებო ამალა-კამარილიაში „მოყურებულნო“ („თავშერგულებო“), თუ „შეყურების“ („თავის შერგვის“) მომლოდინე-მოსწრაფენო! სიძულვილი მოუხსენით და დაასვენეთ აწ გარდასული პირველი პრეზიდენტი საქართველოსი. აპატიეთ ეს „დათვლითი პირველობა“, – აკი დავით აღმაშენებელიც არ ყოფილა „პირველდავითი“. მაშ, ვიყოთ ყველა დიდსულოვანი, სრულად ნათელი ანბანითა ქრისტიანულით, ანდა წინაქრისტიანულით: შე უბედურო ადამიანო, თვითონ მოკვდავო, მკვდარზე კარგი თქვი, ან არაფერი (უკეთუ ეს ფორმულები ვინმე „სამთავრობო გრამატიკის“ ბოსს (კორექტურას გაუფრთხილდით!) არ „ამწვიტინებს გამწოებულად“!).

როგორც ყოველსა კაცთაგანსა, საკრიტიკო და „საკირკიტოც“ როდი აკლდა, მაგრამ ნუთუ მაინცდამაინც დავიმოკლოთ სულნი ჩვენნი, დავიბრმავოთ თვალნი ცოდვილნი და არ დავინახოთ მისი მაღალპატრიოტულ-მამულიშვილური ზნეობანი?

ჩვენ თვითონ, მისთა თანადროულთა, ვალიაროთ-მეთქი, თორემ ისტორია აკი ჩვენს უკითხავადაც შეაფასებს (იქნებ, უკვე შეაფასა კიდეც!) მისთვის ჩვეული პირუთვნელობით – Sine ira et studio („გარეშე გაანჩხლებისა და მიკერძოებისა“), ყოველ ღირსებას ღირსებისად, ცთომილებას ცთომილებისად.

და, ხომ არ გვავიწყდება, რომ ყოველი ჩვენგანი ერთნაირად „საკლაპავი ლუკმაა“ ისტორიოგრაფიისა, თუ „ისტორიოფაგიისა“ (უკეთუ ისევ ის „სამთავრობო ლინგვისტიკის“ მთავარი ბოსი ამ ახალ „ნეოლოგოსსაც“ არ შემირისხავს ისევ დავით გურამიშვილისეულ „მწვიტინ-მწვიტინით“).

მაშ, ვიმარჯვოთ და ყველა „ისტმა“ თუ „ანტიისტმა“ ვინძლო ჩვენი აჩემებული „მშობლიურ-ისტური“ გონსაზღუდავიდან გავაღწიოთ და ვუწოდოთ ზვიად გამსახურდიას ის, რაც იყო იგი სინამდვილეში – გულით და სულით პატრიოტი, გნებავთ ნაციონალისტი და ამისათვის პატივი და დიდება მის სახელს, მის ხსოვნას! და მხოლოდ ამის შემდეგ გვექნება ზნეობრივი (!) უფლება მისი ცთომილი თუ ცოდვილი საპრეზიდენტო პოლიტიკის დაგმობისა და განქიქებისა.

ერთი პოეტი, ხუმარა სტიხოლოგოსი, ხუმრობის გარეშე, საჯაროდ კვეხნითა და თავმოწონებით აცხადებდა: მე, იარაღით ხელში, გამსახურდიას ნაციონალიზმს, ანუ ფაშიზმს ვებრძოდიო!.. ჰხედავ, პატიოსანო მკითხველო, ამ ბრძენთაბრძენ სემიპოეტას (semi-poeta – ჰორაციუსის კომპოზიტია) – ამასაც, სხვა სამთავრობო „თანაიდეოლოგთა“ მსგავსად, თურმე ნაციონალიზმი და ფაშიზმი ერთმნიშვნელობრივ სინონიმებად მიუჩნევია და მიუაზრებია!.. ღმერთო გვიშველე და, მაშ ასეთი „სიბრძნითა განცოფებულითა“, ილია ჭავჭავაძეც, სწორედ სრულიად ქართული ნაციონალიზმის ღვთაებრივი მამამთავარი – თურმე ფაშიზმის მამამთავარიც ყოფილა!.. ვაი, უშველებელო და, არჩილ ჯორჯაძის ლოგოსებსაც ერთხელ კიდევ თუ გავიხსენებთ – „ხამობა“ და „რწყილსულოვნება“ ამაზე შორს ხომ ვეღარ გაქანდება!

აი, კიდევ, ამასწინათ რომ ქვემო ქართლში ქართველმა თეატრალებმა ქართული წარმოდგენა დადგეს და, ადგილობრივ ქართველობასთან (შემორჩენილ ქართველობასთან) ერთად, სატელევიზიო ჩვენებით, ჩვენც გაგვახარეს – ერთმა ადგილობრივმა ქართველმა „მოქალაქე ფეტორიტეტმა“, მაშინვე ტელევიზიითვე იმ წარმოდგენის ასეთი შეფასებით გაგვახარა: „მთავარი ის გახლდათ, რომ ამ სპექტაკლში აბსოლუტურად არაფერი ნაციონალური არა ჰქონებიაო!“.

გესმის, პატიოსანო მკითხველო? მოდი და მოვნათლოთ იმ მოქალაქის, თუ „მოქალაქლის“ ასეთი შეფასება: უკეთუ არ იცის, რომ ლათინური „ნაციონალური“ ქართულად იგივე „ეროვნულია“ – მაშინ, არცოდნა (უვიცობას ნუ ვკადრებთ!) ვაპატიოთ, მაგრამ თუ ამ ქართულ-ლათინურის იგივეობა იცის და მაინც ნაციონალურს, ანუ ეროვნულს ასე ხელაღებით გმობს – მაშინ რა დავარქვათ და როგორ მოვექცეთ ამ ჩვენს აშკარად ანტინაციონალურ, ანუ ანტიეროვნულ „თანაქართველს“, თუნდაც იმ, წეღან მოხსენიებულ „ხუმარა სემი-პოეტასთან“ ერთად?!

ჰმ, მართლაც დადის აჩრდილი საქართველოში – აჩრდილი მუტუალიზმისა!..

უფალო, გვიხსენ, რამეთუ რაღაც უცნაური ატომები აწვიმს გონებასა ჩვენსა.

ვაი, შე უბედურო და საცოდავო *ქართულო ნაციონალიზმო, ქართულო-მეთქი*, თორემ დანარჩენ მსოფლიოს *ყოველ ხალხთა* ნაციონალიზმს ცალკეულად, აბა რა სჭირთ შესაცოდები! დიახ, დიახ, – მთელს ცისქვეშეთში, სრულიად ქვეყანასა ზედა, *მხოლოდ და მხოლოდ ქართველთა შორის* არის გმობილი, გალანძღული და გათრეული ის, რასაც ჰქვია ლათინურად *„ნაციონალური“* (natio, nationis), ხოლო ქართულად *„ეროვნული“*. აბა, თვინიერ ქართველთა, რომელი სხვა ხალხი მოიძებნება და დასახელდება დედამიწაზე, რომელიც უწინარესად ყოვლისა და ყოველთა სწორედ საკუთარ ნაციონალიზმზე ფიქრით, აზრით და ზრუნვით არ ათენ-აღამებდეს; და ყოველი „იზმიც“ – მათ შორის, საყოველთაოდ ყბადაღებული ინტერნაციონალიზმი და კოსმოპოლიტიზმი – კვლავაც ყველგან, სწორედ ცალკეულ ხალხთა ნაციონალიზმით იწყება და მხოლოდ ამავე ლოკალურ-ნაციონალური საწყისიანობით განისაზღვრება და გაიაზრება.

ნაციონალიზმი ხომ ბუნებით თანდაყოლილი თვისებაა, ანუ თვითონ ბუნებაა, ხოლო მისი უარყოფა, თუ მის წინააღმდეგ ბრძოლა აკი სრულად ანტიბუნებრივი, თვითონ ბუნებასთან ბრძოლა, თვითონ ბუნების უფლებათა უზურპაციაა. ხოლო, უკეთუ არ დავიშლით, – „ბუნება შურს იძიებს მისი უფლებების ყოველგვარი უზურპირებისათვის“, – როგორც სთქვა ეს ერთმა, თუნდაც „შერყეულმა“, მაგრამ მაინც „მსოფლიოს შემარყეველმა“ კაციშვილმა.

დიახ და სწორედ, ასე ესმით ყველას და ყველგან, ხოლო ჩვენთან – „მეხუთე დასის“ საქართველოში... ჩვენთან... მუხრანულად: *„ვაი, ჩვენს პატრონს!“*

ნაციონალისტიო, შოვინისტიო, ფაშისტიო და, მავან-მავანნი დიქტატორადაც ნათლავდა ზვიად გამსახურდიას. მთლად „პირსისხლიანობის“ დაბრალება ვეღარ მოუხერხეს, მაგრამ „დიქტატორობა“ კი მიანათლეს... (ჰმ, დიქტატორიო... ნეტავ და მართლა ყოფილიყო!).

კიდევ და კიდევ უარესი: ოღონდ გამსახურდია გაეშავებიათ და დაეჭვსკნელებიათ და მის დროინდელ ნაციონალურ პოლიტიკას არაქართული მოსახლეობის გენოციდიც კი დააბრალეს! გენოციდი, ხალხო! *შენს* სისხლიერს რომ სხვა სისხლიერის გენოციდს *შენვე* დააბრალებ, *ამაზე დიდ ცოდვას* რაღას ჩაიდენ, შე უბედურო ქართულო ჯიშო??!!

ფაშისტობას და გენოციდს რომ გაბრალებენ, აკი უნდა შეგეძლოს უცხო, სხვა ტომის სახლში შესულმა ფეხმძიმე ქალიც მუცელზე გაფატრო და ნაყოფი დააგდებინო, აკვნიდან ჩვილი ამოგლიჯო და შუაზე გაგლიჯო... ხოლო, ქართველს, ამ „უცხოთმოყვარეობაში ბედოვლათს“, ასეთ რამეს ვინ დააბრალებს?.. ვინ და, აი, ძეგ ქართველი!

და, აჰა, ბღავიან აღტაცებით ჩვენი მტრები: აკი ქართველები თვითონ იძახიან – ჩვენ გენოციდისტები, კაციჭამიები გახლავართო!.. და სხვა რაღა გვინდა, – უარესს რაღას ვისიბრძნებთ!.. აჰა, იგი – უგუნურება უგუნურებათა!

კვლავაც, – ოდენ გული კი არა, ძვლებიც უნდა შეგიძრწუნდეს ამის გამგონეს!

იქნებ კიდევაც მთაწმინდიდან ბღავიან და ჩვენ, გონდახშულებს, არც კი გვესმის:

ილია: „ჩვენი ქვეყანა – მკვდარი თქვენგანა!“

აკაკი: „ფურთხის ღირსი ხარ შენ, საქართველო!“

* * *

არ გვინდა მივხვდეთ, თუ მართლა ვერ ვხვდებით, რომ ჩვენი დღევანდელობა უკვე აშკარად წრეგადასული დაცინვა და აბუჩად აგდებაა ჩვენი დიდი ეროვნულ-ნაციონალური ისტორიისა?!

შენი ისტორია-მეთქი, რომელიც არის, ერთდროულ-მარადიულად შენი სკოლაც, შენი მსაჯულიც.

მოვეშვათ, თუ არ მოვეშვათ „მესამე დასურ ესდეკობას“, ანუ ქართული ისტორიის „ველურობა-ბარბაროსობის“ მამხილებელ „ჟორდანოლოგიას“, იმასაც რომ აფოფინებული გვამცნობს: ქართველმა ხალხმა ილია ჭავჭავაძის ნაციონალური დროშა ერთის მოქნევით მოისროლა და მის ნაცვლად ინტერნაციონალიზმის დროშა ააფრიალაო! და კიდევ: ნაციონალიზმი რად გვინდა, როცა იგი წოდებებს შორის ხიდებს სდებს და კლასობრივ ბრძოლას ხელს უშლისო. აი, თურმე რატომ უნდა ვებრძოლოთ ნაციონალიზმს – ის ხომ „ჩატეხილ ხიდებს ამთელებს“ და ამით ამთლიანებს ყველა ქართველს – მდიდარს თუ ღარიბს, აზნაურსა თუ უაზნოს, ერსა თუ ბერს, და ასეთი გამთლიანებით ხელს უშლის ქართველი ხალხის შიგნით ურთიერთ ქლეტას!.. აი, რა არ სურვებია და რა სურვებია ამ „ქართველ მარქსს“! როგორმე მოშლილიყო ილიას „საერთო ნიადაგის“ თეორია – თეორია ერის გამთლიანებისა, და გაჩაღებულიყო მარქსისტულ-ჟორდანიული სამოქალაქო ომი საქართველოში!..

აწ ჩვენში კომუნისტთა, ანუ ბოლშევიკთა მოდად ქცეული ლანძღვა-გინება, სხვათა შორის, მენშევიკებს და მათ ჰეგემონს ვერას უშველით. ბოლშევიკიც და მენშევიკიც ყველა იყო ერთი ნაკადის – „მესამე დასის“ ნაკადისანი. აკი თვითონ ჟორდანიაც ამასვე ამბობს: ჩვენ, მენშევიკებიც და ბოლშევიკებიც, ძმები გახლავართ და თუ ჩვენს შორის რაიმე უთანხმოება მოხდება, ეს ხომ ძმათა შორის უთანხმოება იქნება და სხვა არაფერი! მთავარი კი მაინც მათი „ძმური ერთხმიობა“, „საერთაშორისო პროლეტარიატის დროშით“, მაინცდამაინც სწორედ ქართული ნაციონალიზმისა და პატრიოტიზმის წინააღმდეგ თავგამოდებული ბრძოლა იყო – სწორედ ერთიანი „მენშევიკურ-ბოლშევიკური“, ანუ გნებავთ და – „ჟორდანიულ-მახარაძული“; ქართული ნაციონალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაც და მისი მამამთავრის, ილია ჭავჭავაძის მკვლელობაც – ერთად მენშევიკურ-ბოლშევიკური, ანუ „მესამე დასური“.

მაშ, ჩვენ, „მეხუთე დასელებმა“, იქნებ შევძლოთ, „მესამე დასურს“ ზურგი ვაქციოთ და თვალი ქართული ნაციონალიზმის მამამთავრის, ილიას მხარეს გავაყოლოთ, სწორედ ჩვენი უმდიდრესი ნაციონალური ისტორიის გასწვრივ, და... აი, არანაკლებ 3500 წლოვანი ისტორია ქართული სახელმწიფოებრიობისა... აი, დიდი კოლხური ცივილიზაცია... აი, დრო-ჟამი ფარნავაზისა და ფარნავაზიანთა... შემობრძანება ქრისტიანობისა და „მოქცევაი ქართლისაი“... გორგასლიადა... დიდი სამამულო ომები მსოფლიოს დამპყრობ მონარქიებთან... ერთიანობა საქართველოსი... ოქროვანი საუკუნე... სკოლა ათონელთა, ანუ მთაწმინდელთა... დავით აღმაშენებელი... აკადემიები... თამარი და მისი ეპოქა... დიდი სამამულიშვილო გმირობანი... ერისა და ქვეყნისათვის თავდადებულთა, წმინდანთა... გიორგი ბრწყინვალე... კვლავ გმირობანი... სწავლანი... კანონმდებლობანი... თავიდან ბოლომდე მრავალგზის ნაკადი, ნაწრთობი და სრულად ჩამოყალიბებული სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი სტრუქტურებით.

**ლევან სანიკიძე**

გაგრძელება იქნება

დასაწყისი იხ. „საქართველო“ №73.

● წიგნიდან „სუკი და ძალაუფლება“

# ანდროპოვს არ ეშინოდა ბრძოლის

## ფილიპ ბობკოვი

ბარემდან ჩვენი უთანხმოება ამგვარად გამოიყურებოდა: გრიშინი, როგორც პრინციპული ადამიანი, გადაჭრით აყენებდა საკითხს - გაიწმინდოს მოსკოვი ნაძირალებისაგან, ხოლო „ლიბერალი“ ანდროპოვი გაუბედავად მოქმედებდა. შინაგან საქმეთა მინისტრი შჩოლოკოვი, ბუნებრივია, გრიშინის მხარეს იჭერდა. ადვილი წარმოსადგენია რა მოახსენეს ბრეჟნევს მისმა „ერთგულმა თანამებრძოლებმა!“

აი, კიდევ ერთი ეპიზოდი. 1971 წელს სიტყვით გამოვედი სკკპ ცკ-ს ერთ-ერთ თათბირზე. საჰაერო თავდაცვის ჯარების პოლიტიკური სამმართველოს უფროსმა გრუშჩოვოიმ სიტყვა გამაწყვეტინა და განაცხადა, რომ სუკ-ი არ სდევნის მათ, ვინც პარტიის პოლიტიკას აკრიტიკებს და მას სტალინიზმის რესტავრაციაში სდებს ბრალს. მას აშკარად მხედველობაში ჰქონდა რეპრესიული ზომების მიღებისა და არა განმარტებითი სამუშაოს საკითხი. მე შევეკამათე, თუ ჩვენ ასეთ გზას დავადგებით, სწორედ ამით დავამტკიცებთ, რომ სტალინიზმს ვუბრუნდებით. გრუშჩევოის ნამდვილად არ მოეწონებოდა ჩემი პასუხი, მაგრამ გაჩუმება არჩია.

დასაწყისი იხ. „საქართველო“ №48-72.

ზოგიერთ ორთოდოქსს დიდი სურვილი ჰქონდა, რომ რეპრესიების ჩატარება სუკ-ისათვის გადაებარებინა! თანაც ყოველ შესაძლო შემთხვევას იყენებდნენ, რომ ჩეკისტების მიმართ უნდობლობა დაეთესათ. დაუზარებლად „ამხელდნენ“ HKBD-ს წარსულში ჩადენილ ბოროტ საქმეებს.

მაგრამ ანდროპოვს არ შეეშინდა ბრძოლისა. იგი ყოველთვის მონდომებით ეძებდა და პოულობდა კონფლიქტური სიტუაციების თავიდან აცილების გზებს. იფარავდა თავის ხალხს სარისკო ნაბიჯებისაგან, რათა შესაძლებელ სიტუაციაში უკიდურესი ზომები არ გამოეყენებინათ.

მე სავსებით ვიზიარებდი მის ტაქტიკას და ყოველთვის ვცდილობდი ჩემი მუშაობის სტილი მისთვის შემეთავსებინა.

როდესაც სხვაგვარად მოაზროვნეთა დევნის შესახებ ლაპარაკობენ, ხშირად მაგალითად მოჰყავთ ანეკდოტების გამო დაპატიმრებები. შემიძლია დაგარწმუნოთ მე-5 სამმართველოს პრაქტიკაში ასეთი რამ არ ყოფილა. და თუ მაინც გამოიყენებოდა რეპრესიული მეთოდები, მხოლოდ სერიოზული ანტისახელმწიფოებრივი ქმედებების შემთხვევაში. ისიც უნდა ითქვას, რომ არასრულყოფილი კანონმდებლობა ხელ-ფეხს უკრავდა ჩვენს თანამშრომლებს, განსაკუთრებით რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 და 70-ე მუხლები, რომლებშიც ხელისუფლების მიმართ ძირგამომთხრელი საქმიანობის მხოლოდ ერთი ფორმა იყო მითითებული - ანტისაბჭოური აგიტაცია და პროპაგანდა.

ეს მკაცრი ფორმულირება ერთმნიშვნელოვნად იყო გაგებული: ანტისახელმწიფოებრივი დაჯგუფების ორგანიზაცია, კონსტიტუციური წყობის დამხობის მიზნით, დამზადება და გავრცელება ანტისაბჭოური პროკლამაციებისა და სხვა ბეჭდური მასალებისა, არალეგალური ტიპოგრაფიების შექმნა - ერთი სიტყვით, სულ სხვადასხვა სახის დარღვევები. უცნაურია, რომ არავინ არასდროს არ დაფიქრებულა იმ უარყოფითი პოლიტიკური რეზონანსის შესახებ, რომელიც ამ კანონების შედეგი უნდა ყოფილიყო. პერესტროიკის პერიოდში სახალხო დეპუტატთა ყრილობის განსახილველად გამოტანილ იქნა ახალი რედაქცია რსფსრ სისხლის სამართლის მე-7 მუხლისა, სადაც დანაშაულის შემადგენლობის კონკრეტიზირების ცდა იყო. მერედა რა? ყრილობამ შეზღუდა ამ მუხლის მოქმედება, შეთავაზებულ რედაქციას დაუმატა: სასჯელს ექვემდებარებიან მხოლოდ ის პირები, რომლებიც საჯაროდ მოუწოდებენ კონსტიტუციური წყობის დამხობისაკენ. დეპუტატები, რომლებიც ამთავრებდნენ თავის სადეპუტატო სიცოცხლეს, თვლიდნენ, რომ ჩვენს დროში ამგვარი მოწოდებები აღარ იქნება. თავისი გადაწყვეტილებით ყრილობამ კონსტიტუციურ წყობას იურიდიული დამცველი მექანიზმი მოაშორა.

ძალზე სიმპტომატურია, რომ საბჭოთა კავშირის შემდეგ აღმოცენებულ ახალ სახელმწიფოებში, საკუთარ კანონმდებლობაში შესწორებების შეტანისას, სისხლის სამართლის კოდექსში შეჰქონდათ მუხლი ისეთი რედაქციით, რომელიც სახალხო დეპუტატთა საბჭომ უარჰყო თავის დროზე. საინტერესოა, რომ ამგვარი შესწორებების ინიციატორები იყვნენ ყოფილი სსრკ სახალხო დეპუტატები, რომლებმაც ერთხმად მისცეს აცილება მითითებულ პროექტს საკავშირო ყრილობაზე. როგორც ჩანს, ამჯერად უკვე „სხვისი ჭირის“ სინდრომი აღარ მოქმედებდა.

ანდროპოვთან მუშაობის წლებში მე მომიწია ისეთი საქმის კეთებამ, რომელიც თითქოსდა არ შედიოდა სუკ-ის ფუნქციებში. მაგრამ ცხოვრებამ გვიჩვენა, რომ ჩვენს მიერ შესრულებული სამუშაო საზოგადოებისათვის სასარგებლო იყო.

სამოცდაათიან წლებში მოსკოვის სამთავრობო დაწესებულებების ირგვლივ ხშირად იკრიბებოდა ერთი და იმავე მოქალაქეებისაგან შემდგარი ჯგუფი, რომელთა საჩივრები დიდი ხნის განმავლობაში უპასუხოდ რჩებოდა. მათი მოსმენა არავის არ უნდოდა, არც ცკ-ს მისაღებში, არც მინისტრთა საბჭოში და არც სხვაგან, მათ უბრალოდ თავიდან იშორებდნენ. არც კი ცდილობდნენ საქმის არსი გაეგოთ.

მახსოვს ერთი ოთხშვილიანი (ორი კიდევ სახლში ჰყავდა დატოვებული) დედა, რომელიც მოსკოვში რამდენიმეჯერ ჩამოვიდა ზაპოროჟიედან. ბოლოს იგი დაიმუქრა, რომ წითელ მოედანზე საჯაროდ დაიწვავდა თავს. გამოირკვა, რომ ის ოჯახთან ერთად ცხოვრობს თერთმეტი კვადრატული მეტრის სიდიდის ოთახში და არც არავინ ჰპირდება ბინის მიცემას. ადგილობრივი ხელისუფლება დიდ რიგს იმიზეზებდა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

გამოვა ახალი, ყველა სერიოზულ გაზეთზე არასერიოზული და ყველა არასერიოზულ გაზეთზე სერიოზული

„სენსაციური გაზეთი“

მის გამოცემას პრესის არნახული ბუმის დროს ის გამართლება აქვს, რომ იგი ყველა კატეგორიის მკითხველისთვისაა გათვალისწინებული.

## ცენტრში

„ყველა ქალაქსა და რაიონში ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯზე შექმნან უპატრონო, მაწანწალა ცხოველების დამჭერი მუდმივმოქმედი ბრიგადები, რომელთაც დაევალებათ დასახლებული პუნქტების გათავისუფლება ადამიანის დამკბენი ცხოველებისაგან და მათი მიყვანა საკარანტინო ვოლიერებში ვეტერინალური მეთვალყურეობის დასაწესებლად...

1997 წლის განმავლობაში ეტაპობრივად დაინერგოს ცხოველთა სტერილიზაციის, რიცხოვნობის ჰუმანური კონტროლის თანამედროვე მეთოდები და მათი მიყვანა საკარანტინო ვოლიერებში ვეტერინალური მეთვალყურეობის დასაწესებლად...

1997 წლის განმავლობაში ეტაპობრივად დაინერგოს ცხოველთა სტერილიზაციის, რიცხოვნობის ჰუმანური კონტროლის თანამედროვე მეთოდები და მათი კრემაციის წესები“ - ნათქვამია საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებაში „ცოფის პროფილაქტიკის ღონისძიებათა გაძლიერების შესახებ“.

გორში კი... მაწანწალა და უპატრონო ძაღლების განადგურება ხდება „შეხვედრის ადგილზე“. ქალაქის ქუჩებში და სკვერებში (ცენტრალური უბნების ჩათვლით) ხშირად ნახავთ სისხლით დასვრილ ასფალტსა და დახოცილ ძაღლებს, რაც არა მარტო დასანახადაა ამაზრზენი, არამედ სხვადასხვა დაავადებების და ინფექციის გავრცელების საუკეთესო საშუალებაცაა.

ვეტსამსახურის თანამშრომლის თქმით, ცოფის საწინააღმდეგო პროფილაქტიკური სამუშაოების ჩასატარებელი თანხა ადგილობრივი ბიუჯეტიდან უნდა მიიღონ, მაგრამ უსახსრობის გამო წელს ვერ მოგვცემენო...

პრეზიდენტმა კი ბრძანა... რაც ზემოთ მოგახსენეთ!

„საქართველოს“ შ.ქ.ბ.

## მიწისძვრებსაც გვიმალავენ?!

28 ივნისს გორელები მიწისქვეშა ბიძგებმა გამოაღვიძა. მიწისძვრა იმდენად ძლიერი იყო, რომ ხალხი ეზოებში და ქუჩებში გამოვიდა. არც იმ დღეს და არც მომდევნო დღეებში მიწისძვრის შესახებ მასობრივი საინფორმაციო საშუალებებით არაფერი თქმულა. არადა მსგავსი ინფორმაციის გავრცელება არა მხოლოდ ცნობისმოყვარეთა ინტერესების დაკმაყოფილებას ემსახურება, არამედ მოსალოდნელი სეისმური საფრთხისგან დაზღვევის საშუალებაცაა. როგორც გორის სეისმურ სადგურში გვითხრეს: „1997 წლის 28 ივნისს 06 სთ 59 წთ 58 წმ დაფიქსირდა დაახლოებით 4 ბალიანი (რიხტერის სკალით) მიწისძვრა. ეპიცენტრი იყო გორში. ინფორმაცია ოპერატიულად მიეწოდათ შესაბამის სამსახურებს. მათივე თქმით, იყენებენ მოძველებულ ტექნიკას, რადგან თანამედროვე აპარატურა რამდენიმე წლის წინ 100 გრამი სპილენძისთვის გაიძარცვა.

გორელებს კარგად ახსოვს სტიქიით მიყენებული ზარალი, როგორც წარსულში, ასევე რამდენიმე წლის წინ და ადგილობრივ ხელისუფლებასაც რომ ახსოვდეს, გაითვალისწინებდა საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 21 თებერვლის ბრძანებულებას, რომელშიც ნათქვამია: „საქართველოს მმართველობის ადგილობრივმა ორგანოებმა მიიღონ ზომები მათ ტერიტორიაზე განლაგებული სეისმური სადგურების ნორმალური მუშაობისთვის“.

„საქართველოს“ შ.ქ.ბ.

## კროსვორდი



თარაზულად: 2. წნევის დაცემა (დაბალი წნევა); 6. ფრანგი მწერალი ქალი; 8. სოფელი საჩხერის რაიონში; 12. მუსიკალური საკრავი; 14. ლორწოიანი გარსის ზედაპირული დაწყლულება; 15. ძველებური რუსული სიგრძის საზომი; 16. მდინარე შვეიცარიაში; 18. ხანმოკლე შეჩერება; 21. მთათა სისტემა სამხრეთ თბილისში; 23. მუშაობის ან ენერგიის საზომი ერთეული ფიზიკაში; 24. მეცნიერება ძაღლების შესახებ; 25. ულელტეხილი ოსეთის კავკასიონის მთავარ ქედზე; 26. ცოცხალი უჯრედის საპასუხო რეაქცია გამღიზიანებელზე; 29. წვრილად დაჭრილი ხორცისაგან და ბოსტნეულისაგან გაკეთებული კერძი; 30. ქრისტიანული დღესასწაული; 33. საქონლის წონა უჭურჭლოდ; 34. გადატანითი მნიშვნელობით ნახმარი სიტყვა ან გამოთქმა; 36. სოფელი სოხუმის რაიონში; 40. ფულის ერთეული ტაილანდში; 42. ცხვირის ღრუს ლორწოვანის ანთება; 43. ნიგერიაში და ტოგოში მცხოვრები ხალხი; 44. ერთხმიანი ლირიკულ-დრამატული შინაარსის ვოკალური ნაწარმოები ოპერაში; 46. პირი, რომელიც ცხოვრობს გასესხებული კაპიტალის სარგებლით; 48. სახელმწიფო აზიაში; 49. საფარიკაო დაშნა.

შვეულად: 1. გამოჩენილი უნგრელი ფიზიკოსი; 2. ცხენი ძველ ქართულში; 3. ფულის ნიშნების და სხვა ფასიანი ქაღალდების ფასის აწევა; 4. ხის საჭრისი, რომელსაც მოქანდაკეები იყენებენ ძერწვისას; 5. განიერლულიანი მხარზე სატარებელი თოფი; 7. ძველებური ფრანგული ვერცხლის ფული; 9. სამონასტრო კომპლექსი კასპის რ-ში (ქართხუროთმოძღვრების ძეგლი); 10. ფართოდ გავრცელებული სპილენძის მინერალი; 11. ამაღლებული ფიცარნაგი, რომელზეც სრულდება სიკვდილით დასჯა; 13. მდინარე ავსტრიასა და უნგრეთში; 17. საერთო წარმოშობის მქონე ადამიანთა ისტორიულად ჩამოყალიბებული ჯგუფი; 19. მოთქმა, ტირილი; 20. სომეხი დრამატურგი, მწერალი, მცხოვრები თბილისში; 22. ინგლისელი ფილოსოფოსი, მატერიალისტური სენსუალიზმის ფუძემდებელი; 27. დეკორატიული ლარნაკი, რომელშიც იდგმება ყვავილის ლარნაკი; 28. დიპლომატიურ წარმომადგენლობასთან მყოფი თანამდებობის პირი, რომელიც რაიმე დარგის სპეციალისტ კონსულტანტია; 31. ხე ან ბუჩქი მიმოზასებრთა ოჯახიდან; 32. შუამავალი გარიგებაში; 35. მთავრების ტიტული ინდოეთში; 37. წყალქვეშა კლდე; 38. კოლხეთის მითოლოგიური მეფე; 39. ქალაქი კოლუმბიის ცენტრალურ ნაწილში; 41. ვედიზმის მიხედვით ჭექა-ქუხილის და ქარიშხლის ღმერთი; 44. ავის მთქმელი; 45. ანტიკურ თეატრში ტრაგედიის დასკვნითი ნაწილი; 47. ქარების მბრძანებელი ბერძნულ მითოლოგიაში; 48. ხომალდის ზედა გემბანის წინა ნაწილი.

თამუნა მაქარაშვილი

მთავარი რედაქტორი
ნოდარ გრიგალაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5

გაზეთის ინდექსი 66447

ფასი 50 თეთრი

ტელეფონები:
რედაქტორი: 93-20-36,
რედაქტორის მოადგილე: 93-18-41

რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ. №06/4-444